

# ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე

### შუალედური ანგარიში

1 ივლისი – 1 ოქტომბერი

# ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე

### შუალედური ანგარიში
### 1 ივლისი – 1 ოქტომბერი


ავტორები: თამარ კინწურაშვილი, მაიკო რატიანი

მონიტორინგის მონაცემების დამუშავება: თინა გოგოლაძე, ლანა როყვა

მედია მონიტორინგი: სოფო ჩხაიძე, მარიამ ქავთარაძე, ლიკა მაჭარაძე, ლია კინწურაშვილი, ნათია ალავიძე, სალომე ნორაკიძე, თამთა კეკელიძე

ფაქტების ანალიტიკოსები: თინათინ თვაური, თეკლა ხარაზიშვილი, ცისია კირვალიძე, ანი ქისტაური, გიორგი მინაშვილი

დიზაინი: მარიამ ცუცქირიძე

გარეკანის ფოტო: Lightspring, Shutterstock



*ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.*



**© 2024, მედიის განვითარების ფონდი**

## შესავალი

მედიის განვითარების ფონდი (MDF) წინასაარჩევნო პერიოდში ტრადიციულ და სოციალურ მედიაში ანტიდასავლურ გზავნილებსა და დეზინფორმაციას იკვლევდა.

წინამდებარე ანგარიში შუალედურ მონაცემებს ასახავს და 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდს აანალიზებს. კვლევის მიზანი იყო შეესწავლა სხვადასხვა სუბიექტების მიერ არჩევნების წინ გავრცელებული ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია და მათი წყაროები; დეზინფორმაცია და ის მეთოდები, რომელთაც სხვადასხვა აქტორები საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის მიმართავენ.

ანგარიშის პირველი ნაწილი ანტიდასავლური გზავნილების რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს მიმოიხილავს, მეორე ნაწილი კი სოციალურ მედიას და არჩევნებთან დაკავშირებულ დეზინფორმაციასა და მანიპულაციურ შინაარსს შეეხება.

## მეთოდოლოგია

ანგარიშში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდოლოგია, რაც თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებას გულისხმობს.

***კონტენტ-ანალიზი.*** ნარატივების და მათი წყაროების იდენტიფიცირება, რაც კონტექსტის გაგების და ტენდენციებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა, ქართულენოვანი ტრადიციული მედიის (სატელევიზიო, ბეჭდვითი და ონლაინ გამოცემები) კონტენტ-ანალიზის მეშვეობით ხორციელდება, რა დროსაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების დამუშავება ხდება. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური გზავნილების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

***კონტენტ-ანალიზის სუბიექტების შერჩევა.*** მედიის განვითარების ფონდი წინა წლების მსგავსად 2024 წელსაც დაკვირვებას ქართულენოვან მედიაზე ახორციელებდა. მეინსტრიმული მედია საშუალებების გარდა, სუბიექტების შერჩევა მათი კრემლთან კავშირებისა და პარტიული აფილიაციების ნიშნით მოხდა და მედია ბაზარზე არსებული ცვილებების გათვალისწინებით გარკვეული კორექტირება განიცადა.

მონიტორინგის სუბიექტებად ტრადიციული მედიის 13 გამოცემა (ტელევიზია –7, ბეჭდური – 3, ონლაინ გამოცემები – 3) შეირჩა. წინა წლებისგან განსხვავებით, სატელევიზიო მედიაში მთავარი აქცენტი თოქ-შოუებზე გაკეთდა, რაც დისკურსული ანალიზისთვის უფრო სრულფასოვან მონაცემებს იძლევა და სუბიექტებად განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მედიები შეირჩა:

| ტელევიზია | | ბეჭდური | ონლაინ |
|---|---|---|---|
| ტვ “იმედი” | იმედი ლაივი(კვირაში სამჯერ) | ასავალ დასავალი (ყოველკვირეული) | საქართველო უპირველეს ყოვლისა (geo-first.com), ყოველდღიური |
| პოსტვ პოსტ | ლიბერალიზმის ანატომია (კვირაში ოთხჯერ) | კვირის პალიტრა (ყოველკვირეული) | საქართველო და მსოფლიო (geworld.ge), ყოველდღიური |
| | პოსტ - ანალიტიკა (კვირაში სამჯერ) | | |
| მთავარი არხი | ღამის მთავარი (ყოველკვირეული) | რეზონანსი (ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა) | მარშალპრესი (mpn.ge), ყოველდღიური |
| ალტ-ინფო | ალტ - ანალიტიკა (ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა) | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სეზონი ტვ | დღის შეჯამება (ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა) | | |
| ობიექტივი | სტუდია #8 (ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა) | | |
| ერი მედია | გონიერი (კვირაში ორჯერ) | | |

**სოციალური მედიის მონიტორინგი**. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია მეტას კონტენტ ბიბლიოთეკა (Meta Content Library), რომელშიც დაკვირვება სახელისუფლებო, ოპოზიციურ და სხვადასხვა ჯგუფებთან აფილირებულ ანონიმურ ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებზე ხდებოდა. სოციალური მედიის ნაწილში ასევე გამოყენებულია მეტას ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში "მითების დეტექტორის" მიერ გამოვლენილი შემთხვევები.

მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდის - 1 ივლისი - 1 ოქტომბერი - ყოველდღიური დაკვირვების შედეგებს ასახავს.

## მთავარი მიგნებები

წინასაარჩევნო პერიოდში (ივლისი-სექტემბერი) **ტრადიციულ მედია საშუალებებზე** დაკვირვებისას შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- გამოვლენილი 4055 ანტიდასავლური კომენტარიდან უმეტესობა კოლექტიურ დასავლეთის (32,9%) წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც ანტიამერიკული გზავნილები (23,3%) მოსდევდა.
- რუსეთის მხარდამჭერი პირდაპირი ან გზავნილები, რომლებიც რუსეთის ქმედებების ირიბ გამართლებას ახდენდა, 13,1%-ს შეადგენდა.
- ევროკავშირის (11,5%) და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ განცხადებები (9,7% ) შედარებით მცირე იყო; ლიბერალიზმის (3,6%) და უკრაინის (3,5%) საწინააღმდეგო კომენტარები თითქმის თანაბარი; NATO (2,5%) საწინააღმდეგო კი - ყველაზე მცირე.
- გამოიკვეთა ანტიდასავლური გზავნილების 6 ძირითადი თემატიკა შემდეგი ძირითადი თემატური გზავნილები:

| | |
|---|---|
| **1. არჩევნები, დემოკრატია, სუვერენიტეტი/დემოკრატიული ინსტიტუტები**<br>1. დასავლეთი/აშშ/ევროკავშირი არჩევნებში ერევა<br>2. არჩევნების შედეგების არაღიარებით რევოლუციური ცვლილებებისთვის ნიადაგს ამზადებს<br>3. სუვერენულ დემოკრატიას ხელყოფს/შიდა საქმეებში ერევა<br>4. ახალისებს რევოლუციებს/გადატრიალებებს<br>5. არასამთავრობოები პოლიტიზირებული არიან/უცხო ქვეყნის დაკვეთით მოქმედებენ<br>6. ოპოზიცია/პრეზიდენტი დასავლეთის მარიონეტია<br>7. დემოკრატიის გამოწვევები თავად აქვს<br>8. ამომრჩეველმა არჩევანი ომსა და მშვიდობას, სუვერენიტესა და მონობას შორის უნდა გააკეთოს. | **2. საგარეო პოლიტიკა/უსაფრთხოება**<br>1. დასავლეთი/გლობალური ომის პარტია საქართველოს ომში ითრევს/მეორე ფრონტის არგახსნის გამო სჯის<br>2. უკრაინის მაგალითი აჩვენებს, რომ დასავლეთი უსაფრთხოების გარანტი არ არის<br>3. საქართველოს/უკრაინას რუსეთის შესაკავებლად/პლაცდარმად იყენებს<br>4. ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი გადასახედია/ინტეგრაცია ნებისმიერ ფასად არ უნდა მოხდეს<br>5. რეგიონული საფრთხეების შეკავება/ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. |
| **3. იდენტობა/ლიბერალიზმი**<br>1. დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას/მიუღებელ ღირებულებებს<br>2. ებრძვის ტრადიციულ იდენტობას/ებრძვის ეკლესიას/მართლმადიდებლობას<br>3. დასავლეთი საკუთარი გენდერულ-ლიბერალური/საემიგრაციო პოლიტიკის მსხვერპლია | **4. უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია**<br>1. უკრაინაში ომის მიზეზი ნატოს გაფართოებაა<br>2. დასავლეთმა უკრაინა გაწირა, მიატოვა<br>3. უკრაინის ხელისუფლება ომის ხარჯზე მდიდრდება<br>4. უკრაინის ხელისუფლება საკუთარ ხალხს წირავს<br>5. რუსეთი და უკრაინა მოძმე ერია/დასავლეთმა მოძმე ერები ერთმანეთს გადაჰკიდა. |

| | |
|---|---|
| 4. ლიბერალური ფაშიზმი უნდა დასრულდეს/ლიბერალიზმმა თავისი თავი ამოწურა. | 6. უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობდა. ის სტალინმა შექმნა |
| **5. ეკონომიკა/დახმარება**<br><br>1. დასავლური დახმარება არა ქართველ ხალხს, არამედ მის აგენტურას/იდენტობასთან ბრძოლას ხმარდება<br>2. დასავლეთი ეკონომიკურ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს/ხელს არ უწყობს საქართველოს განვითარებას/არ გვეხმარება<br>3. რუსეთის ბაზარი რეალურია, დასავლური ხელმისაწვდომი არ არის<br>4. საქართველომ ადგილი დასავლეთის ალტერნატიულ გაერთიანებებში (ბრიქსი, 3+3) უნდა ეძებოს. | **6. ჩინეთთან ურთიერთობები**<br><br>1. დასავლეთი საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ეწინააღმდეგება<br>2. დასავლეთი თავისი ქმედებებით ჩინეთისა და რუსეთის ალიანსს უწყობს ხელს. |

- ეს პირველი არჩევნებია, როდესაც მმართველი პარტია და მასთან დაკავშირებული ჯგუფები, დასავლეთს და გლობალური ომის პარტიას, არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების შედეგების დელეგიტიმაციაში ადანაშაულებდნენ, რაც რევოლუციური სცენარისთვის ნიადაგის მომზადებასთან იყო გათანაბრებული.
- წინა წლებისგან განსხვავებით, რევოლუციური სცენარის წახალისებაში ამერიკის როლზე წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლებო აქტორები ღიად საუბრობდნენ და ამ თემაზე ჩინეთის საგარეო უწყების განცხადებებსაც იშველიებდნენ.
- ომის შიშებით მანიპულირება მმართველი პარტიის საარჩევნო სტრატეგიის ნაწილი იყო. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ, მმართველი პარტია და მისი სატელიტები დასავლეთს/გლობალური ომის პარტიას საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობაში ადანაშაულებდნენ და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში უკუსვლაზე კრიტიკას კონტრბრალდებებით პასუხობდნენ, თითქოს უსაფუძვლო ბრალდებები რეალურად ქვეყნის საომარ ქმედებებში ჩართვას ისახავდა მიზნად.
- სამშვიდობო და სუვერენული პოლიტიკის გამო საქართველოს დასჯის შესახებ გზავნილები მეტწილად პერსონალურად ქართული ოცნების დამფუძნებელ ივანიშვილს შეეხებოდა, და არა მხოლოდ ომს, არამედ მის ფიზიკურ და ფინანსურ უსაფრთხოებას უკავშირდებოდა.
- მმართველი პარტიის საარჩევნო გზავნილი მცდარი დილემის ტექნიკას შეიცავდა და ამომრჩეველს არჩევანის ომსა და მშვიდობას, სუვერენიტეტსა და მონობას, იდენტობის დაკარგვასა და შენარჩუნებას შორის სთავაზობდა.
- აღსანიშნავია ისიც, რომ “ქართული ოცნება”, რომელსაც ოპოზიცია საგარეო კურსის ცვლილებასა და დასავლეთში ინტეგრაციის გზიდან გადახვევაში ედავება, წინასაარჩევნო კამპანიაში პროევროპულ ძალად პოზიციონირებდა, რისთვისაც ევროკავშირის სიმბოლიკას და სლოგანს “მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ” იყენებდა. მმართველი პარტია აქცენტს დასავლეთში არსებული განხეთქილებაზე აკეთებდა და აქაც მცდარი დილემის მეთოდით ჭეშმარიტი და ფსევდო ევროპული რეალიების ერთმანეთისგან გამიჯვნას ახდენდა.
- კრემლისტური აქტორები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტად მხოლოდ რუსეთს სახავდნენ, მმართველი პარტია 2008 წლის ომში წინა ხელისუფლების დადანაშაულებით კი კრემლის ქმედებების ირიბ გამართლებას ახდენდა.
- უკრაინის თემატიკა წინასაარჩევნოდ ძირითადად იმის საილუსტრაციოდ გამოიყენებოდა, რომ არაპრაგმატული პოლიტიკის შემთხვევაში, საქართველოს უკრაინის ბედი ელოდა, ხოლო დასავლეთი უკრაინის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა.
- იდენტობასთან დაკავშირებულ გზავნილებში ჰომოსექსუალობის თავსმოხვევის თემა დომინირებდა, რაც ე.წ. გეი პროპაგანდის კანონს, პარიზის ოლიმპიადას და ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსების პირად ცხოვრებას მანიპულაციურად უკავშირდებოდა.
- გზავნილები, რომლებიც რუსეთის მესიანისტურ მისიაზე ამახვილებდა ყურადღებას და ამკვიდრებდა აზრს, რომ იდენტობის დაცვა მხოლოდ მართლმადიდებელ რუსეთს შეეძლო, შედარებით ნაკლები იყო.
- პარტიებიდან/კოალიციებიდან ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილი ქართულმა ოცნებამ და ხალხის ძალამ გაავრცელეს, რომელსაც კრემლისტური კოალიცია ალტინფო/კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსი/ქართული იდეა და პარტიად გარდაქმნილი სოლიდარობა მშვიდობისთვის მოსდევენ.

- მედიებიდან ყველაზე მეტ ანტიდასავლურ გზავნილს კრემლისტურ გამოცემებში სეზონი ტვ და საქართველო და მსოფლიო ვხვდებით, რომელსაც სახელისუფლებო პოსტვ და საქართველო უპირველეს ყოვლისა მოსდევენ.
- ზოგიერთი მედია (იმედი, რეზონანსი) რესპონდენტების ჭარბი ანტიდასავლური გზავნილების გამტარი შერჩევის ხარჯზე იყო, ამასთან გამოიკვეთა მედია საშუალებების პოლიტიკური აფილიაციის მიხედვით რესპონდენტთა შერჩევის ტენდენცია.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილი ხელისუფლების მხრადამჭერმა ახლადშექმნილმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ “ერთიანი ნეიტრალური საქართველო” გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის გარდა, არჩევნების წინ ხელისუფლების მხარდამჭერი კიდევ ერთი საზოგადოებრივი გაერთიანება “ქართული” შეიქმნა.

სოციალური მედიის ანალიზისას კი “მითების დეტექტორმა” წინასაარჩევნო პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

- პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით გამოვლენილი დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის მქონე 25 შემთხვევიდან, დიდი ნაწილი (19) ოპოზიციის წინააღმდეგ იყო მიმართული;
- ყალბი ინფორმაციის შემთხვევებში ჭარბობდა ვიზუალური მანიპულაციები, მათ შორის კადრებში როგორც ვიზუალის, ასევე ხმის რედაქტირება;
- ყალბი ინფორმაციის წყაროების ტიპოლოგია აჩვენებს, რომ ოპოზიციის საწინააღმდეგო მასალების გავრცელებაში ჩართული იყო როგორც ანტიოპოზიციური და მმართველი პარტიის მხარდამჭერი ფეისბუქ გვერდები/ანგარიშები, ასევე სახელისუფლებო მედია და ექსპერტები, ხოლო “ქართული ოცნების” წინააღმდეგ გავრცელებული მასალების წყარო უმეტესად “ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის” პოლიტიკოსები და მათი მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები იყვნენ
- მმართველი პარტიის მხრიდან ხდებოდა ყალბი ინფორმაციის გავრცელება საქართველოს ომში ჩართვის თემაზე, რაც, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო მიმართული.
- მმართველის პარტიის მხრიდან გამოვლინდა სტატისტიკით მანიპულაციის შემთხვევები, რომლის მიხედვითაც საქართველო სხვადასხვა მაჩვენებლით მსოფლიოში მოწინავე ადგილს იკავებს;
- გამოვლინდა 4 ახალი ანონიმური ფეისბუქ გვერდი, რომლებიც მოკლე ვიდეოების (Reel) მეშვეობით პოლიტიკოსების დისკრედიტაციას ცდილობდა. 4 გვერდიდან 3 აქვეყნებდა მხოლოდ ოპოზიციის საწინააღმდეგო, ხოლო 1 გვერდი როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი პარტიის საწინააღმდეგო კონტენტს. აღნიშნული გვერდი (“მიხეილ ბიძინაური”) გიორგი გახარიას პარტიასთან იყო დაკავშირებული;
- ძველი და ახლადშექმნილი ანონიმური ანტიოპოზიციური ფეისბუქ გვერდები მიმართავდნენ პოლიტიკოსების განცხადებების საარქივო ვიდეომასალების გამოყენებასა და სატირული შინაარსის ინფორმაციით მანიპულირების მეთოდებს, რასაც თან სდევდა პოლიტიკოსების მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი, უცენზურო შეფასებები;
- გამოვლინდა რეგიონული მედიის სახელით მოქმედი 3 ფეისბუქ გვერდი, რომლებიც მმართველი პარტიის მხარდაჭერას ავლენდნენ და ოპოზიციის საწინააღმდეგო გზავნილებს ავრცელებდნენ;
- შეიქმნა ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების მადისკრედიტირებელი ფეისბუქ გვერდი “ფაქტები და არჩევანი”, რომელიც დეზინფორმაციასთან ბრძოლის ორგანიზაციად პოზიციონირებს და შექმნის დღიდან (27 აგვისტო) ათასამდე პოსტი აქვს გამოქვეყნებული.

## სარჩევი


I. ანტიდასავლური გზავნილები ტრადიციულ მედიაში....8

1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები....8

1.2. ანტიდასავლური პროპაგანდის თემატიკა....9

1.2.1. არჩევნები, დემოკრატია, სუვერენიტეტი/დემოკრატიული ინსტიტუტები....11

1.2.2. საგარეო პოლიტიკა/უსაფრთხოება....19

1.2.3. იდენტობა/ლიბერალიზმი....26

1.2.4. უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია....30

1.2.5. ეკონომიკა/დახმარება....30

1.2.6. ჩინეთთან ურთიერთობები....32

1.3. წყაროები 33

II. დეზინფორმაცია და სხვა მანიპულაციური შინაარსი სოციალურ მედიაში ....37

2.1. ოპოზიციის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი....38

2.2. ქართული ოცნების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი....40

2.3. რეგიონული მედიის სახელით მოქმედი სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდები....40

2.4. ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ახლადშექმნილი ფეისბუქ გვერდები ....42


## დიაგრამები


**დიაგრამა 1.** ანტიდასავლური გზავნილების სუბიექტები

**დიაგრამა 2.** ანტიდასავლური გზავნილების სუბიექტები წყაროების მიხედვით

**დიაგრამა 3.** ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა

**დიაგრამა 4.** ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა სუბიექტების მიხედვით

**დიაგრამა 5.** ერთიანი გზავნილები არჩევნების, დემოკრატიის, სუვერენიტეტის/დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ დასავლეთის/აშშ-ს/EU-ს წინააღმდეგ

**დიაგრამა 6.** ერთიანი გზავნილები არჩევნების, დემოკრატიის, სუვერენიტეტის/დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ დასავლეთის/აშშ-ს/EU-ს წინააღმდეგ პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 7.** გზავნილები არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების დელეგიტიმაციაზე წყაროების მიხედვით

**დიაგრამა 8.** გზავნილები არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების დელეგიტიმაციაზე პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 9.** გზავნილები არასამთავრობოების პოლიტიზების და უცხო ქვეყნის ინტერესების გატარების შესახებ

**დიაგრამა 10.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის და მეორე ფრონტის შესახებ

**დიაგრამა 11.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის და და მეორე ფრონტის შესახებ პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 12.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის/დასავლეთის და ოპოზიციის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე

**დიაგრამა 13.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის/დასავლეთის და ოპოზიციის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 14.** გზავნილები უსაფრთხოების გარანტიებზე

**დიაგრამა 15.** გზავნილები უსაფრთხოების გარანტიებზე პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 16.** გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე

**დიაგრამა 17.** გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 18.** გზავნილები რუსეთთან ურთიერთობებზე

**დიაგრამა 19.** გზავნილები რუსეთთან ურთიერთობებზე პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 20.** იდენტობასთან დაკავშირებული გზავნილები

**დიაგრამა 21.** გზავნილები ლიბერალიზმის შესახებ

**დიაგრამა 22.** გზავნილები ლიბერალიზმის შესახებ პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 23.** გზავნილები ეკონომიკისა დაა დასავლური დახმარების შესახებ

**დიაგრამა 24.** გზავნილები ეკონომიკისა დაა დასავლური დახმარების შესახებ პარტიების მიხედვით

**დიაგრამა 25.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პარტიების/საარჩევნო კოალიციების მიხედვით

**დიაგრამა 26.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედიების მიხედვით

**დიაგრამა 27.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით

**დიაგრამა 28.** დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ

**დიაგრამა 29.** დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის ტიპოლოგია

**ინფოგრაფიკა 1.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორების მიხედვით

# I. ანტიდასავლური გზავნილები ტრადიციულ მედიაში

## 1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

2024 წლის წინასაარჩევნო სამთვიან პერიოდში (ივლისი-სექტემბერი) ანტიდასავლური დისკურსის შესწავლისას მედიის განვითარების ფონდმა 4055 კომენტარი გაანალიზა. გზავნილების უმეტესობა კოლექტიური დასავლეთის[1] (32,9% - 1333) წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც ანტიამერიკული (23,3% - 945) გზავნილები მოსდევდა. რუსეთის მხარდამჭერი პირდაპირი გზავნილები, ან კომენტარები, რომლებიც რუსეთის ქმედებების ირიბ გამართლებას ახდენდა, 13,1%-ს შეადგენდა. შემდეგ ადგილზე ევროკავშირის და ევროპის წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარებია (11,5% - 466), რასაც არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ კრიტიკული განცხადებები მოსდევს (9,7% - 392). ლიბერალიზმის (3,6% - 145) და უკრაინის (3,5% - 142) საწინააღმდეგო კომენტარები თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი. ყველაზე ნაკლებ კომენტარს კი ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის - NATO (2,5% - 101) წინააღმდეგ ვხვდებით.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ერთადერთი სუბიექტია, რომელიც წარმოდგენილ კვლევაში ან პოზიტიურად არის წარმოჩენილი, ან მისი ქმედებების ირიბი გამართლება ხდება; ყველა სხვა სუბიექტი კი ნეგატიურ კონტექსტშია წარმოდგენილი.

**დიაგრამა 1.** ანტიდასავლური გზავნილების სუბიექტები (ივლისი-სექტემბერი, 2024)




როგორც დიაგრამა 2-ზე და თანმხლები ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ხშირად ანტიდასავლური გზავნილების წყარო პოლიტიკური კლასი (1996-49,2%) იყო, რომელსაც მონიტორინგის სუბიექტი მედია (1021 - 25,2%) მოსდევს. წინამდებარე კვლევაში ცალკე გამოვყავით სახელისუფლებო ექსპერტები (370 - 9,1%), რომლებიც ძირითადად მმართველი პარტიის მხარდამჭერ პოზიციას ახმოვანებენ და სახელისუფლებო სარედაქციო მედიაში ჩნდებიან. სახელისუფლებო ექსპერტებს მცირედი სხვაობით მოსდევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები (360 - 8,9%), რომლებიც მეტწილად ან ინდივიდუალურ პირებთან არიან ასოცირებული, ან ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ერთიანი ნეიტრალური საქართველო, ქართული) გაერთიანების სახით წინასაარჩევნოდ ჩამოყალიბდა. კვლევაში წარმოდგენილი ორგანიზაციების დიდი ნაწილი ხელისუფლების მხარდამჭერია, მცირედი კრემლისტური პარტიების. საზოგადოებაში (212 - 5,2%) გაერთიანებული არიან სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ინდივიდუალური პირები, ხოლო უცხოელების კატეგორიაში (79 - 1,9%), როგორც რუსეთის, ასევე ბელორუსის, უკრაინის, ჩინეთის და დასავლეთის ცალკეულ წარმომადგენლებს ვხვდებით, რომელთა ციტირებას მედია სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით ახდენდა. მაგალითად, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიები დასავლური კონსერვატიულ და ჩინურ წყაროებს უფრო ციტირებდნენ, ასევე უკრაინელებს, ვინც ზელენსკის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი; ღიად კრემლისტური გამოცემები კი - რუსეთის და

[1] ამ კატეგორიაში მოხვდა გზავნილები, რომლებიც ერთდროულად როგორც ამერიკას, ასევე ევროპას და საერთაშორისო ინსტიტუტებს შეეხება; ასევე შემთხვევები, როცა დასავლეთი როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ და ღირებულებით სივრცედ განიხილება.

ბელორუსის. ყველაზე მცირედით მონიტორინგში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირები (17-0,4%) მოხვდნენ.

**დიაგრამა 2.** ანტიდასავლური გზავნილების სუბიექტები წყაროების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




| სუბიექტები | დასავლეთი | აშშ | რუსეთი | EU/ევროპა | NGO | ლიბერალიზმი | უკრაინა | NATO | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **პარტიები** | 668 | 431 | 248 | 206 | 203 | 119 | 70 | 51 | **1996** |
| **მედია** | 321 | 244 | 180 | 118 | 90 | 20 | 30 | 18 | **1021** |
| **სახელისუფლებო ექსპერტები** | 130 | 132 | 9 | 37 | 47 | | 10 | 5 | **370** |
| **NGO** | 124 | 51 | 40 | 67 | 37 | 6 | 16 | 19 | **360** |
| **საზოგადოება** | 63 | 61 | 47 | 16 | 10 | | 11 | 4 | **212** |
| **უცხოელები** | 19 | 26 | 7 | 17 | 1 | | 5 | 4 | **79** |
| **სასულიერო პირები** | 8 | | | 5 | 4 | | | | **17** |
| | **1333** | **945** | **531** | **466** | **392** | **145** | **142** | **101** | **4055** |

## 1.2. ანტიდასავლური პროპაგანდის თემატიკა

მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა ანტიდასავლური გზავნილების 6 ძირითადი თემატიკა, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

1. არჩევნები, დემოკრატია, სუვერენიტეტი და დემოკრატიული ინსტიტუტები (39,2%)
2. საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება (32,8%)
3. იდენტობა და ლიბერალიზმი (14,9%)
4. უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია (6,5%)
5. ეკონომიკა/უცხოური დახმარება (6,3%)
6. ჩინეთთან ურთიერთობა (0,3%).

**დიაგრამა 3.** ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა (ივლისი-სექტემბერი, 2024)




აღნიშნული 6 თემიდან არჩევნების, დემოკრატიისა და სუვერენიტეტის, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტის საკითხი დომინირებდა (1589), რაც როგორც საარჩევნო პროცესით იყო განპირობებული, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული ე.წ. “აგენტების კანონის” მიღებით. შემდეგ ადგილზე საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების თემატიკა იყო (1332), რაც მეტწილად საარჩევნო პროცესში მმართველი პარტიის მხრიდან ომის შიშებით მანიპულირებას და ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებაში გლობალური ომის პარტიის დადანაშაულებას უკავშირდებოდა. იდენტობისა და ლიბერალიზმის თემატიკაც წინასაარჩევნო პოლიტიკური მანიპულაციის საგანი იყო (605). შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი უკრაინაში რუსეთის ინტერვენციისა (262) და ნატოს (255) საკითხები, ხოლო ყველაზე მცირედით ჩინეთთან ურთიერთობების (12), რა დროსაც დასავლეთის შემაფერხებელ ფაქტორად წარმოჩენა ხდებოდა.

**დიაგრამა 4.** ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა სუბიექტების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)



| თემატიკა | დასავლეთი | აშშ | რუსეთი | EU/ევროპა | NGO | ლიბერალიზმი | უკრაინა | NATO | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არჩევნები/დემოკრატია/სუვერენიტეტი/დემოკრატიული ინსტიტუტები | 562 | 434 | 84 | 131 | 378 | | | | **1589** |
| საგარეო პოლიტიკა/უსაფრთხოება | 459 | 318 | 310 | 106 | | | 61 | 78 | **1332** |
| იდენტობა/ლიბერალიზმი | 175 | 85 | 21 | 152 | 14 | 145 | 13 | | **605** |
| უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია | 53 | 43 | 62 | 13 | | | 68 | 23 | **262** |
| ეკონომიკა/დახმარება | 75 | 62 | 54 | 64 | | | | | **255** |
| ჩინეთთან ურთიერთობა | 9 | 3 | | | | | | | **12** |
| | **1333** | **945** | **531** | **466** | **392** | **145** | **142** | **101** | **4055** |

### 1.2.1. არჩევნები, დემოკრატია, სუვერენიტეტი/დემოკრატიული ინსტიტუტები

არჩევნების დემოკრატიის, სუვერენიტეტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების თემატიკაში ყველა ხშირი სამიზნე კოლექტიური დასავლეთი (562) და ამერიკა (434) იყვნენ, ასევე თავად არასამთვრობო ორგანიზაციები (378).
ამ თემასთან დაკავშირებით 8 ძირითადი გზავნილი გამოიკვეთა, რომლის სამიზნეები კოლექტიურ დასავლეთთან ერთად ამერიკა, ევროკავშირი და საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა პროპორციით იყვნენ. ესენია:

1. არჩევნებში ერევა
2. არჩევნების შედეგების არაღიარებით რევოლუციური ცვლილებებისთვის ნიადაგს ამზადებს
3. სუვერენულ დემოკრატიას ხელყოფს/შიდა საქმეებში ერევა
4. ახალისებს რევოლუციებს/გადატრიალებებს
5. არასამთავრობოები პოლიტიზირებული არიან/უცხო ქვეყნის დაკვეთით მოქმედებენ
6. ოპოზიცია/პრეზიდენტი დასავლეთის მარიონეტია
7. დემოკრატიის გამოწვევები თავად აქვს
8. ამომრჩეველმა არჩევანი ომსა და მშვიდობას, სუვერენტიტესა და მონობას შორის უნდა გააკეთოს.

როგორც ქვემოთმოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რომელშიც სამიზნე ერთდროულად კოლექტიური დასავლეთი, ამერიკა და ევროკავშირია, ყველაზე მეტი გზავნილი ოპოზიციის/პრეზიდენტის დასავლეთის დაკვეთების შემსრულებლად წარმოჩენას ეხებოდა; ასევე დასავლეთის ზეწოლას, რომელიც ამჟამად ოპოზიციაში მყოფი ყოფილი სახელისუფლებო პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) გასამართლების შემაფარხებელ ფაქტორად იყო განხილული (178). სხვა გზავნილები, რომელთაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, მეტწილად არჩევნებს, სუვერენიტეტის თემებს და არასამთავრობოების როლს შეეხებოდა.

**დიაგრამა 5.** ერთიანი გზავნილები არჩევნების, დემოკრატიის, სუვერენიტეტის/დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ დასავლეთის/აშშ-ს/EU-ს წინააღმდეგ(ივლისი-სექტემბერი, 2024)




პარტიებიდან ყველაზე მეტი გზავნილი, რომ ოპოზიცია/პრეზიდენტი დასავლეთის მარიონეტია და დასავლეთმა ენმ-ს გასამართლებას ხელი შეუშალა მმართველ პარტია ქართულ ოცნებას და მის სატილიტურ გაერთიანება ხალხის ძალას ეკუთვნის. არჩევნებში ჩარევაზეც იგივე სუბიექტი დომინირებს. თუმცა თითქმის თანაბარია კრემლისტური კოალიციის (ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა-პატრიოტთა ალიანსი-ქართული იდეა) და სახელისუფლებო პარტიის გზავნილები ისეთ საკითხებზე, რომლებიც არჩევნების არაღიარებით რევოლუციის წახალისებას, საქართველოს სუვერენულ საკითხებში ჩარევას და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას შეეხება, სადაც აქცენტი იმაზე კეთდება, რომ დასავლეთს თავად აქვს დემოკრატიის გამოწვევები და არ აქვს მორალური უფლება, რომ სხვას ჭკუა ასწავლოს.

**დიაგრამა 6.** ერთიანი გზავნილები არჩევნების, დემოკრატიის, სუვერენიტეტის/დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ დასავლეთის/აშშ-ს/EU-ს წინააღმდეგ პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




**არჩევნებში ჩარევა და არჩევნების შედეგების დელეგიტიმაცია.** აღსანიშნავია, რომ ეს პირველი არჩევნებია, როდესაც მმართველი პარტია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური თუ მედია ჯგუფები, დასავლეთს და გლობალური ომის პარტიას, რომლებიც ხშირად სინონიმებად გამოიყენებოდა, არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების შედეგების დელეგიტიმაციაში ადანაშაულებდნენ, რაც რევოლუციური სცენარისთვის ნიადაგის მომზადებად იყო წარმოჩენილი. არჩევნებს კი ომის შიშებით მანიპულირების თემატიკა ებმოდა. მმართველი

პარტიის საარჩევნო გზავნილი მცდარი დილემის ტექნიკას შეიცავდა და ამომრჩეველს არჩევანს ომსა და მშვიდობას, სუვერენიტეტსა და მონობას, იდენტობის დაკარგვასა და შენარჩუნებას შორის სთავაზობდა.

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტ გზავნილს ამ თემებზე პოლიტიკური პარტიები ავრცელებდნენ, დომინანტი თემა კი დასავლეთის/გლობალური ომის პარტიის მხრიდან არჩევნების შედეგების არაღიარება და რევოლუციისთვის ნიადაგის შექმნა იყო (91). არჩევნებში ჩარევაზე და შედეგების დელეგიტიმაციაზე ბრალდებების სამიზნეები გლობალური ომის პარტიის და კოლექტიური დასავლეთის გარდა, ამერიკა, ევროკავშირი და "პოლიტიზირებული არასამთავრობო ორგანიზაციები" იყვნენ.

**დიაგრამა 7.** გზავნილები არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების დელეგიტიმაციაზე წყაროების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




პარტიებიდან ყველაზე ხშირად არჩევნებში ჩარევასთან დაკავშირებულ თემატიკზე კომენტარებს მმართველი პარტია ქართული ოცნება და მასთან დაკავშირებული ხალხის ძალა აკეთებდნენ, რომელსაც ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსის კოალიცია მოსდევდა.

**დიაგრამა 8.** გზავნილები არჩევნებში ჩარევასა და არჩევნების დელეგიტიმაციაზე პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




აღსანიშნავია ისიც, რომ კომენტარებს საარჩევნო პროცესში ამერიკის ჩარევასა და ქვეყანაში არეულობის მოწყობაზე, ერთი მხრივ, ხალხის ძალის წარმომადგენელი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის (სუს) ინფორმაციაზე, ხოლო მეორე მხრივ, კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის ლიდერი რუსეთის საგარეო დაზვერვის[2] სამსახურის განცხადებაზე დაყრდნობით აკეთებდა:

| **სოზარ სუბარი, ხალხის ძალა** | **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა** |
|---|---|
| “რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ინფორმაცია იყო სუსის მხრიდან გამოქვეყნებული, რომ საეჭვო მოძრაობებია დაწყებული არამხოლოდ არჩევნების არ ცნობასთან დაკავშირებით, არამედ იქ არეულობის მოწყობაში ძალოვანი კომპონენტის ჩართვაც... ამ ფონზე ძალიან მკაფიო იყო ის გზავნილები, რომლებიც ჩვენ წავიკითხეთ მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიშში, სადაც პირდაპირ წერია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ არჩევნების ლეგიტიმურად ცნობა რომ არ მოხდეს, უნდა ჩამოვიდეს ამერიკის კონგრესის ორპარტიული დელეგაცია, რომელმაც უნდა დაუჭიროს მხარი დემონსტრანტებს ხელისუფლების წინააღმდეგ[3]”... | „რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა გამოაქვეყნა მორიგი განცხადება, ეხება საქართველოს და საუბარი მიდის იმაზე, თუ რას აპირებს კერძოდ შეერთებული შტატები ამ არჩევნებთან დაკავშირებით, ჩვენს ქვეყანაში არსებულ არჩევნებთან დაკავშირებით. ამ განცხადებაში იყო ნახსენები ის, რომ შეერთებული შტატები წინასწარ ემზადება იმისთვის, რომ ამ არჩევნების შედეგები არ სცნოს და ცხადია, სტანდარტული მაიდნის სცენარი გაათამაშოს[4]”. |

ქართული ოცნების და ხალხის ძალის წარმომადგენლები ბრალდებებს ამერიკის მხრიდან საქართველოს საარჩევნო პროცესში ჩარევის თაობაზე შემდეგ საკითხებს უკავშირებდნენ:

- **დემოკრატიული უკუსვლის გამო ხელისუფლების 2 თანამდებობის პირის დასანქცირებას**[5]: “წინასაარჩევნო პერიოდში უცხო ქვეყნის მხრიდან მსგავსი ქმედებების განხორციელება წარმოადგენს წინასაარჩევნო პროცესში ჩარევას და ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მცდელობას[6].”
- **ივანიშვილის შესაძლო დასანქცირებას**[7]: „თუ მართლა მოხდა ეს ყველაფერი, კიდევ ერთხელ იქნება მესიჯი ქართული საზოგადოებისათვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც ჩვენი ამომრჩეველია და არამხოლოდ, თუ როგორი პირდაპირი ჩარევა მიდის, როგორი პირდაპირი ზეწოლა მიდის ბატონ ბიძინაზე, მთლიან ჩვენს გუნდზე და პირდაპირ ქვეყანაზე[8]". „წინასაარჩევნოდ გაბრაზებული პარტნიორის, ამერიკის შესაძლო გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებასთან დაკავშირებით აღიქმება, როგორც “ქართული ოცნების” ღია შანტაჟი, რომელიც დაისჯება, რადგან ის ამერიკის პოლიტიკურ თამაშის წესებს არ აჰყვა[9]".
- **ბრალდებებს, რომ USAID-ი 2020 წელს ISFED-ის მიერ პარალელური დათვლის დროს დაშვებული შეცდომას მიზანმიმართულად მალავდა**: "როდესაც გაირკვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო სააგენტომ იცოდა ამის შესახებ და მალავდა, დღემდე არ გვსმენია, ჩატარდა თუ არა გამოძიება, რა გაირკვა, რა იცოდა USAID-მა, რა იცოდა საელჩომ, რომ იცოდნენ, რატომ მალავდნენ ამ ყველაფერს, რაც იყო საბოლოო ჯამში საქართველოში ამ რევოლუციური ტალღის ერთ-ერთი ინსპირატორი[10]."

---

[2] ТАСС, 11 сентября СВР: США могут задействовать БДИПЧ ОБСЕ для вмешательства в выборы в Грузии https://tass.ru/politika/21832769
[3] მარშალპრესი, 22 სექტემბერი “რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ინფორმაცია იყო სუსის მხრიდან გამოქვეყნებული, რომ საეჭვო მოძრაობებია დაწყებული არჩევნების არცნობასთან დაკავშირებით” https://mpn.ge/archives/54974
[4] ალტინფო, ალტ-ანალიტიკა, 11 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=4252426
[5] Civil.ge, 16 სექტემბერი, აშშ საქართველოში დემოკრატიის შელახვისთვის ახალ სანქციებს აწესებს https://civil.ge/ka/archives/624661
[6] მარშალპრესი, 20 სექტემბერი, გივი მიქანაძე, ქართული ოცნება https://mpn.ge/archives/54878
[7] ამერიკის ხმა, 20 სექტემბერი. ექსკლუზივი: შეერთებულმა შტატებმა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების პაკეტი შეიმუშავა https://bit.ly/4eVPKTH
[8] მარშალპრესი, 21 სექტემბერი, ირაკლი კირცხალია, ქართული ოცნება https://mpn.ge/archives/54949
[9] მარშალპრესი, 23 სექტემბერი, თამთა მეგრელიშვილი, ხალხის ძალა https://mpn.ge/archives/54995
[10] მარშალპრესი, 15 ივლისი, შალვა პაპუაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე https://mpn.ge/?p=50597

მოსაზრებას, რომ ამერიკა და დასავლეთი ხელისუფლების ცვლილებით და მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებით არის დაინტერესებული, კრემლისტური პარტიებიც იზიარებდნენ:

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ ის, რომ ამერიკა აპირებს რევოლუციას ან დასავლეთი, ამას თვითონ ჩვენი ხელისუფლება ამბობს[11]."
- **მიხეილ ჟღენტი, სოლიდარობა მშვიდობისათვის:** „ოქტომბრის 10-15 რიცხვში დასავლეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი დადებს დასკვნას, რომ ეს არჩევნები არ იქნება დემოკრატიული. უკვე ამ დასკვნას დადებენ და მოამზადებენ 80% სახელმწიფო გადატრიალებას[12]."
- **ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა:** „ეგ არ არი დემოკრატიის საკითხი, ეგ არი რეჟიმის ცვლილების საკითხი… ამერიკელებმა გამოუშვეს მესიჯი აქაურებისთვისაც, სხვებისთვისაც, რო საქართველოში არსებული ხელისუფლება მიუკარებლების, ხელჩამოურთმევლების კატეგორიაში გადაგვყავს[13]".

ამავე დროს კრემლისტური პარტია პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი საქართველოს შიდა პოლიტიკაში არ ერევა და ერთადერთი, რითაც დაინტერესებულია არის ის, რომ საქართველოში არ იყოს ანტირუსული ხელისუფლება, რომელიც მის წინააღმდეგ ომში ჩაებმება:

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ბუნებრივია, რომ რუსეთისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, საქართველოში ხელისუფლება როგორი იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში აუცილებლად პრორუსული ხელისუფლება უნდა იყოს, რასაც ლაპარაკობენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არ იყოს „ანტი," ე.ი. არ იყოს ისეთი ხელისუფლება, ვინც ომში ჩაებმევა. ნეიტრალური ხელისუფლება[14]…"

სუვერენული დემოკრატია. როგორც სახელისუფლებო, ასევე კრემლისტური ამკვიდრებდნენ მოსაზრებას, რომ საქართველოს სუვერენულ საკითხებში დასავლეთი იჭრება და არჩევნებიც სუვერენიტეტსა და მონობას შორის მცდარი დილემის კონტექსტში განიხილებოდა:

- **კახი კალაძე, თბილისის მერი:**„საქართველო ვერ იქნება ვინმეს ვასალი. შეუძლებელია. საქართველო არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ამისთვის ჩვენმა წინაპრებმა იბრძოლეს, სისხლი დაღვარეს[15]".
- **ნინო წილოსანი, ქართული ოცნება**: "ეს არჩევნები არის გადაწყვეტილება თითოეული ქართველი ამომრჩევლის, საქართველო დარჩება ამ რუკაზე როგორც დამოუკიდებელი, ღირსეული, ამაყი, სუვერენული სახელმწიფო, თუ იქნება ვიღაცის ვასალი[16].."
- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „რეალურად, ევროკავშირი დღეს ცდილობს, ისეთივე ინტეგრაციის დონე შექმნას, რაც იყო საბჭოთა კავშირში უკვე შექმნილი… პრაქტიკულად, ბრიუსელი გვკარნახობს ყველაფერს პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი ჩვენ[17]".
- **ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა:** „ეს ქალი [უზრა ზეია[18]] რომ აქ იყო, პარალელურად მაგისმა ქვეყანამ მიიღო ჩვენი ქვეყნის მთავრობის დასანქცირების ანუ ჩვენი ქვეყნის მთავრობაზე შეტევის კანონი, იმიტომ რომ აქ ჩვენ რაღაცა გავაკეთეთ, ისე რომ არ დავიკითხეთ მაგათ, ანუ სუვერენიტეტის ნიშნები რომ გამოამჟღავნეთ, მაგაზე გვასანქცირებენ[19]."
- **ირაკლი მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა:** "დასავლეთის კოლონია ვართ და დასავლეთმა პიროვნულად დაასანქცირა ოცნებები[20]…

---

[11] ობიექტივი, სტუდია N8, 26 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4249624
[12] სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 18 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=4253159
[13] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 27 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4255049
[14] ობიექტივი, სტუდია N8, 26 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4249626
[15] მარშალპრესი, 8 ივლისი https://mpn.ge/?p=50006
[16] პოსTV, პოსტ ანალიტიკა, 26 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/4249458
[17] ობიექტივი, სტუდია N8, 30 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4250111
[18] სამოქალაქო უსაფრთხოების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე
[19] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 12 ივლისი https://www.myvideo.ge/?video_id=4244300
[20] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 20 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/4249226

**რევოლუციების/გადატრიალებების წახალისება.** წინასაარჩევნო კონტექსტის გარდა, დასავლეთის, განსაკუთრების ამერიკის მიერ ფერადი რევოლუციების და გადატრიალებების წახალისების თემა მონიტორინგის პერიოდშიც ზოგადადაც ფიგურირებდა. როგორც კრემლისტური, ასევე სახელისუფლებო აქტორები ამკვიდრებდნენ აზრს, რომ მაიდნის სცენარი ხელისუფლებაში მათთვის სასურველი პოლიტიკური ძალის მოყვანას ისახავდა მიზნად და რეგიონული განზომილებაც ჰქონდა:

- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „თუ ისინი [ამერიკელები] საკუთარ ხალხს ვერ მოიყვანენ ხელისუფლებაში, მაშინ ცხადია აქ ამოქმედდება სხვა სცენარი, ეგრეთ წოდებული მაიდანის სცენარი[21]".
- **დავით ქართველიშვილი, ხალხის ძალა:** „ის, რაც არ გამოუვიდათ [ამერიკელებს] საქართველოში, ცდილობენ გააკეთონ სომხეთში[22]".

წინა წლებისგან განსხვავებით, რევოლუციური სცენარის წახალისებაში ამერიკის როლზე წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლებო აქტორებიც ღიად საუბრობდნენ. უფრო მეტიც, სახელისუფლებო მედია ამ თემაზე წყაროდ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ციტირებდა და ეს კრიტიკა მეტწილად ამერიკული ორგანიზაცია დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც არაბული გაზაფხულის, ნარინჯისფერი რევოლუციის და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ სხვა სახალხო პროტესტთან კავშირში მოიხსენიებდა:

- **ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო:** „ის [NED] ცნობილი გახდა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ინფილტრაციის, დივერსიისა და საბოტაჟის მცდელობებით. უაღრესად მნიშვნელოვანია NED-ის საქმიანობის გამოაშკარავება და ყველა ქვეყნის გაფრთხილება, რათა დაინახონ მისი ნამდვილი სახე, დაიცვან თავი დივერსიისა და საბოტაჟისგან, გაუწიონ წინააღმდეგობა, დაიცვან თავიანთი ეროვნული სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და ინტერესები, მხარი დაუჭირონ მშვიდობასა და განვითარებას მთელ მსოფლიოში, ასევე, საერთაშორისო სამართალსა და სამართლიანობას[23]".

სწორედ NED-ის გავლით პოლიტიკური პროცესის დაფინანსებას შეეხებოდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის კომენტარი, რომელიც ამ თემაზე ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ რევოლუციის გაუმჭვირვალე დაფინანსებაზე საუბრობდა:

- **ირაკლი კობახიძე, პრემიერ-მინისტრი:** "გამჭვირვალობას არ აქვს ალტერნატივა, არ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ვიღაცამ გაუმჭვირვალედ სცადოს რევოლუციის მოწყობა, რევოლუციის დაფინანსება, ეს არ არის სწორი პრაქტიკა[24]".

**არასამთავრობოები პოლიტიზირებული არიან/უცხო ქვეყნის დაკვეთით მოქმედებენ.** არასამთავრობოების პოლიტიზირებულობასა და ანგარებით უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებაზე კომენტარებს მეტწილად პოლიტიკოსები, მედია და სახელისუფლებო ექსპერტები აკეთებდნენ. პოლიტიკოსებიდან კი ყველაზე ხშირად წყარო მმართველი პარტია “ქართული ოცნება” და მასთან დაკავშირებული ხალხის ძალა იყო.

---

[21] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 16 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4253008
[22] მარშალპრესი, 23 ივლისი https://mpn.ge/archives/51344
[23] საქართველო უპირველეს ყოვლისა, 17 აგვისტო https://bit.ly/4e7LgbA
[24] მარშალპრესი, 19 აგვისტო https://mpn.ge/archives/52936

**დიაგრამა 9.** გზავნილები არასამთავრობოების პოლიტიზების და უცხო ქვეყნის ინტერესების გატარების შესახებ (ივლისი-სექტემბერი, 2024)




არასამთავრობოების პოლიტიზირებულობაზე და უცხო ქვეყნის დაკვეთით მოქმედებაზე განცხადებებს, როგორც სახელისუფლებო პარტია და ექსპერტები, ასევე სახელისუფლებო პროპაგანდისტული ტელეკომპანიების “იმედის” და პოსტვის წამყვანები აკეთებდნენ:

- **მაგდა ანიკაშვილი, ტვ იმედის ჟურნალისტი:** „...ზღვარი, პრაქტიკულად, პარტიებსა და ენჯეოებს შორის აღარ არსებობს[25]".
- **ზვიად ავალიანი, PosTV-ის წამყვანი:** “...ისინი რეალურად ასრულებენ დავალებას... ისინი არიან იმ ნარატივში, რასაც ქვია რადიკალური ოპოზიცია და ენჯეო სექტორი და რასაც ამ ნარატივის შემქმნელები ბრძანებენ, ის უნდა გააკეთონ[26].”

არასამთავრობოების/ დასავლური ფონდების პოლიტიზირებაზე განცხადებები, ამერიკის კონგრესში საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს დირექტორის ეკა გიგაურის გამოსვლას, დანიის მთავრობის მხარდაჭერით ჩატარებულ დემოკრატიის ფესტივალს, ISFED-ის საქმიანობას და NED-ის მხარდაჭერილ პროექტებს შეეხებოდა. ამასთანავე კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ე.წ. აგენტების კანონი უცხო ქვეყნის ზრახვებს გამოააშკარავებდა და ქვეყნის სუვერენიტეტში ჩარევას შეზღუდავდა:

- **გივი მიქანაძე, ქართული ოცნება:** „სახეზეა როგორც ზღვარის მოშლა არასამთავრობო სექტორსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, ასევე უცხო ქვეყნის პირდაპირ ჩარევა და ზეგავლენის მოხდენა წინასაარჩევნო პროცესებზე [დემოკრარიის ფესტივალი][27]”.
- **ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:** „ჩვენ სახეზე გვაქვს ქვეყნის გარედან მმართველობა... რეალურად ისინი არიან სამთავრობო ორგანიზაციები, ოღონდ ამერიკული სამთავრობო ორგანიზაციები[28]“...
- **ირაკლი ქადაგიშვილი, ქართული ოცნება:** „როცა იქნება გამჭვირვალობა და ღიაობა, მაშინ აღარ იქნება საფრთხე, საშიშროება და სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით, აფინანსებს თუ არა ეს ორგანიზაცია [NED] სხვადასხვა არასამთავრობოებს, მათ შორის, არაკონსტიტუციური მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას ISFED-ის შემთხვევაში აკეთებდა[29]“.
- **დავით ქართველიშვილი, რეზიდენტი ავტორი:** „ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოღებულმა უცხოური გავლენების ფინანსური გამჭვირვალობის

[25] იმედი, იმედი LIVE, 29 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4255027&rc=1
[26] პოსTV, პოსტ ანალიტიკა, 2 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4251058
[27] რეზონანსი, 30 აგვისტო https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=211443
[28] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 10 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=4251725
[29] მარშალპრესი, 17 აგვისტო https://mpn.ge/archives/52860

კანონმა ატომური ბომბის აფეთქების ეფექტი გამოიწვია საერთაშორისო აგენტოკრატებსა და მათ ადგილობრივ აგენტ-მარიონეტების რიგებში[30]..."

როგორც სახელისუფლებო, ასევე კრემლისტური აქტორების მხრიდან ისმოდა განცხადებები დასავლური ფონდების აკრძალვის და მეზობელი ქვეყნების, ასევე უნგრეთის გამოცდილების გაზიარების საჭიროების შესახებ:

- **ზურაბ ქადაგიძე, ხალხის ძალა**: „მგონი, დროა საქართველომ მეზობლების გამოცდილება გაითვალისწინოს და კატეგორიულად დაუყენოს საკითხი ასეთ [ NED] ფონდებსა და ორგანიზაციებს – ან სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად იმუშაონ, თუ არადა, საერთოდ აეკრძალოთ საქართველოში ოპერირება![31]"
- **ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა:** „საქართველოში სინამდვილეში ბევრი ენჯეო კი არ არის მისახედი, არის რამდენიმე და ერთის მაგალითზე აგიხსნით. სუსი წერს დასკვნას, რომ ჯორჯ სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება" უხეშად ერევა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საკითხებში, დესტრუქციულ საქმიანობას აწარმოებს, ექსტრემისტული ორგანიზაციაა და მიმართავს მერე შესაბამის პროცედურას და საჯარო რეესტრში უქმდება მაგ სტრუქტურის რეგისტრაცია... ძმაკაცი რომ გყავთ თქვენ, ბატონი ვიქტორ ორბანი, მაგან გააკეთა თავისთან ეგ და სოროსის ფონდი აღარ ფუნქციონირებს უნგრეთში[32]."

**პრეზიდენტი/ოპოზიცია დასავლეთის მარიონეტია.** მოსაზრებას, რომ არასამთავრობოებთან ერთად პრეზიდენტი და ოპოზიციაც დასავლეთის მარიონეტია და უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებს, სახელისუფლებო პარტია და კრემლისტური ჯგუფები თანაბრად იზიარებდნენ, რომლებიც სხვა ქვეყნების მიერ მართული ინსტიტუტების აკრძალვის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ამასთანავე, მმართველი პარტია აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ წინა სახელისუფლებო პარტიის გასამართლება დასავლეთის ზეწოლით ვერ შეძლო და ახლა ნაციონალური მოძრაობის გასამართლებით მათი აგენტურის გასამართლებას გეგმავდა:

- **ირაკლი მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა:**"ორგანიზაციები, რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოებაზე ყველა, არასამთავრობოები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სხვა ქვეყნებს ემსახურებიან, მაგათ მიმართ არი ქმედებები საჭირო, ღონისძიებებია გასატარებელი, რომ საერთოდ, მათი ეს მოღვაწეობა უნდა დამთავრდეს[33]".
- **ირაკლი კობახიძე, პრემიერ-მინისტრი:** „2003 წელს, „ენჯეოების" მეშვეობით, ხელისუფლება გარედან დაგვინიშნეს. ქვეყანას 9 წლის მანძილზე მართავდა პოლიტიკური ძალა, რომელმაც ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მიმართ უამრავი დანაშაული ჩაიდინა... ამ დანაშაულებზე დღემდე არ აუღიათ პასუხისმგებლობა იმ გარე ძალებს, რომლებმაც 2003 წელს ძალაუფლება უცხოურ აგენტურას ჩააბარეს[34]".
- **ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება:** "კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა" ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნეთა სამსახურში დგას და ეს უკვე არაერთხელ დამტკიცდა. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს ძალა და მისთვის დავალების მიმცემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ![35]"
- **სოზარ სუბარი, ხალხის ძალა:** "ჩვენ ვამბობთ, რომ თქვენს [საერთაშორისო პარტნიორების] აგენტურას ვასამართლებთ. ამას ისინი არ უშვებენ, ბუნებრივია, მაგრამ ჩვენ თუ გვინდა, რო სამართლებრივი სახელმწიფო შედგეს, ამისთვის ეს უნდა მოხდეს[36]".

**დემოკრატიის გამოწვევები თავად დასავლეთს აქვს**. გზავნილებს, რომ დასავლეთი საქართველოსთვის როლური მოდელი ვერ იქნება, რადგან დემოკრატიის მხრივ გამოწვევები თავად აქვს, ქართული ოცნების და ხალხის ძალის წარმომადგენლები დასავლეთის ორმაგ სტანდარტებს და ამერიკაში და ევროპაში პოლიტიკურ ლიდერებზე განხორციელებულ თავდასხმებს უკავშირებდნენ:

---

[30] საქართველო უპირველეს ყოვლისა, 23 სექტემბერი https://geo-first.com/agenturuli-janyis-molodinsi/
[31] მარშალპრესი, 18 აგვისტო https://mpn.ge/archives/52890
[32] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 10 ივლისი https://www.myvideo.ge/?video_id=4242234
[33] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 15 ივლისი https://www.myvideo.ge/v/4243922
[34] მარშალპრესი, 31 აგვისტო https://mpn.ge/archives/53666
[35] მარშალპრესი, 31 აგვისტო https://mpn.ge/archives/53676
[36] იმედი, იმედი LIVE, 22 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4253906&rc=1

- **თამთა მეგრელიშვილი, ხალხის ძალა:** “ის, რაც დასავლეთში დემოკრატიის საზომად და ობიექტურობის მაღალ სტანდარტად არის მიღებული, ვენესუელაში დიქტატურაა – დასავლეთის ორმაგი სტანდარტის მორიგი მაგალითი[37]".
- **ირაკლი ზარქუა, ქართული ოცნება:** "ბიჭო, შენს ქვეყანაში [ამერიკაში] პრეზიდენტობის კანდიდატს ტყვიას ესვრიან, ოპონენტები, რესპუბლიკელები ბრალს გდებენ, რომ ბაიდენის მთავრობა იურიდიულ დეპარტამენტს პოლიტიკური ნიშნით იყენებსო, ანუ დევნას ახორციელებსო... მერე რანაირად შემოგიტრიალდება ენა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ან ქართველ ხალხს ჭკუა ასწავლო დემოკრატიაზე. ჟურნალისტებს აგდებთ, “Fox News”-დან... ახლა დემოკრატია იქ უფრო მაღალია თუ ჩვენთან?[38]”
- **ზაალ მიქელაძე, ხალხის ძალა:** „ვხედავთ, რაც ხდება უკანასკნელი დღეების განმავლობაში ევროპაში. ჩვენ გვესაუბრებიან დემოკრატიაზე, არადა თავად მზად არიან ჩაქოლონ, მოკლან ერთმანეთი. ეს რობერტ ფიცოს შემთხვევამაც დაამტკიცა[39].“

**მცდარი დილემის ტექნიკა.** მმართველი პარტია და მისი მხარდამჭერები საარჩევნო კონტექსტში მცდარი დილემის ტექნიკას[40] იყენებდნენ და ამომრჩეველს ომსა და მშვიდობას, სუვერენტიტესა და მონობას, იდენტობის დაკარგვასა და შენარჩუნებას შორის არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებდნენ.

- **"ქართული ოცნების" განცხადება:** „2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ ირჩევს „ქართულ ოცნებას[41]“.

## 1.2.2. საგარეო პოლიტიკა/უსაფრთხოება

საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე 5 ძირითადი გზავნილი გამოიკვეთა, რომელთაგან ომის თემა დომინირებდა:

1. დასავლეთი/გლობალური ომის პარტია საქართველოს ომში ითრევს/მეორე ფრონტის არგახსნის გამო სჯის
2. უკრაინის მაგალითი აჩვენებს, რომ დასავლეთი უსაფრთხოების გარანტი არ არის
3. საქართველოს/უკრაინას რუსეთის შესაკავებლად/პლაცდარმად იყენებს
4. ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი გადასახედია/ინტეგრაცია ნებისმიერ ფასად არ უნდა მოხდეს
5. რეგიონული საფრთხეების შეკავება/ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთს შეუძლია.

**გლობალური ომის პარტია და ომის შიშებით მანიპულირება.** ომის შიშებით მანიპულირება მმართველი პარტიის საარჩევნო სტრატეგიის ნაწილი იყო, რასაც ის ადრეც მიმართავდა. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ, მმართველი პარტია და მისი სატელიტები დასავლეთის ქვეყნებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობაში ადანაშაულებდნენ და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში უკუსვლაზე კრიტიკას კონტრბრალდებებით პასუხობდნენ, თითქოს უსაფუძვლო ბრალდებები რეალურად ქვეყნის საომარ ქმედებებში ჩართვას ისახავდა მიზნად[42]. უფრო მეტიც, ამ პროცესს ისინი გლობალური ომის პარტიის კონსპირაციასაც კი უკავშირებდნენ.

---

[37] მარშალპრესი, 3 აგვისტო https://mpn.ge/archives/52208
[38] მარშალპრესი, 2 სექტემბერი https://mpn.ge/archives/53766
[39] მარშალპრესი, 17 ივლისი https://mpn.ge/archives/50878
[40] მცდარი დილემის ტექნიკა ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას https://millab.ge/ka/mil-resources/any/16/any/any/1/
[41] საქართველო და მსოფლიო 21 აგვისტო http://geworld.ge/ge/ქართული-ოცნება-არჩევნ/
[42] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა 2022 https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/251

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტი გზავნილი დასავლეთის/გლობალური ომის პარტიის მხრიდან საქართველოს ომში ჩართვას უკავშირდებოდა, რასაც ყველაზე ხშირად პოლიტიკური კლასი ავრცელებდა.

**დიაგრამა 10.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის და მეორე ფრონტის შესახებ (ივლისი-სექტემბერი, 2024)




პარტიებიდან განცხადებებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ომში დასავლეთი/გლობალური ომის პარტია ითრევს, ყველაზე ხშირად ქართული ოცნება და ხალხის ძალა აკეთებდნენ.

**დიაგრამა 11.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის და და მეორე ფრონტის შესახებ პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




გლობალური ომის პარტიის ქმედებებთან და ომის შიშებთან დაკავშირებული გზავნილების ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ დასავლეთი/გლობალური ომის პარტია საქართველოს სუვერენული და სამშვიდობო პოლიტიკის გამო ებრძოდა და რომ გლობალური ომის პარტიის სამიზნე ტრამპთან და ფიცოსთან ერთად ბიძინა ივანიშვილი და პრემიერი კობახიძეც[43] იყვნენ. გლობალური ომის პარტია ხშირად კოლექტიურ დასავლეთთან,

[43] საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ევროკომისარი სამეზობლო და გაფართოების საკითხებში, ოლივერ ვარჰელი სატელეფონო საუბრისას მას „დაემუქრა“, 15 მაისს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს მკვლელობის მცდელობა შეახსენა და სიფრთხილისკენ მოუწოდა. ეს ბრალდება მოგვიანებით ევროკომისარმა უარყო.

ზოგჯერ კი ამერიკასთან იყო გაიგივებული. ამასთანავე კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ოპოზიციის არჩევნებში გამარჯვება ომის რისკებს ზრდიდა, ხოლო ამერიკაში ტრამპის გამარჯვება საომარი მოქმედებების ალბათობას ამცირებდა, რადგან მისი პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევა რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას და ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვის შესაძლებლობას უტოლდებოდა.

**დიაგრამა 12.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის/დასავლეთის და ოპოზიციის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე (ივლისი-სექტემბერი, 2024)




პარტიების მიხედვით მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ თემებზე საზოგადოებრივი აზრით ყველაზე ხშირად ისევ მმართველი პარტია მანიპულირებდა, ზოგ შემთხვევაში კი ქართული ოცნების პოზიციებს კრემლისტური პარტიებიც იზიარებდნენ. მაგალითად, ოპოზიციის არჩევნებში გამარჯვებასა და რუსეთთან საომარ მოქმედებებს შორის ტოლობის ნიშანს კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსი, სოლიდარობა მშვიდობისთვის და მემარცხენე ალიანსიც სვამდნენ.

**დიაგრამა 13.** გზავნილები გლობალური ომის პარტიის/დასავლეთის და ოპოზიციის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




Civil.ge, 24 მაისი, 2024. ევროკომისარი ვარჰეი უარყოფს „აგენტების“ კანონთან დაკავშირებით კობახიძის ბრალდებას მუქარის თაობაზე https://civil.ge/ka/archives/609152

სამშვიდობო და სუვერენული პოლიტიკის გამო საქართველოს დასჯის შესახებ გზავნილები მეტწილად პერსონალურად ქართული ოცნების დამფუძნებელ ივანიშვილს შეეხებოდა, და არა მხოლოდ ომს, არამედ მის ფიზიკურ და ფინანსურ უსაფრთხოებას, კერძოდ, შვეიცარიულ ბანკთან კერძო კომერციული დავასაც უკავშირდებოდა. ზოგჯერ პროპაგანდისტულ მედიაში ივანიშვილის გლობალურ ისტებლიშმენტთან და ჩრდილოვან მმართველობასთან (deep state) მებრძოლად წარმოჩენაც კი ხდებოდა:

- **კახა კალაძე, ქართული ოცნება, თბილისის მერი:** „აღნიშნული კანონი [„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ] უბრალოდ მოგონილი თემაა. რეალური პრობლემა და განაწყენება კი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველო არ შეუერთდა სანქციებს[44]“.
- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „რაღაც ქვეყანა იყო, შენი მონა იყო, ყველაფერში გემორჩილებოდა... და უცებ ეს ქვეყანა არ გემორჩილება. ცხადია, თუ სათანადოდ არ დაისაჯა, დემონსტრაციულად არ დაისაჯა, სხვებისთვის მაგალითი იქნება[45].“
- **ირაკლი კობახიძე, პრემიერ-მინისტრი:** „როგორც გლობალური ომის პარტიისთვის, ისე ხელისუფლებისა და ქართველი ხალხისთვის სასწორზე იმდენად მნიშვნელოვანი რამ დევს, რომ ამ ფონზე რისკები ერთი ათადაა მომატებული... სლოვაკეთში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო კანდიდატი გაიმეტეს სასიკვდილოდ. ყველას გახსოვთ ღია მუქარაც, რომელიც ერთ-ერთი ევროკომისრის პირით შემოგვითვალეს. გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში წარიმართება გამოძიება ბატონ ბიძინა ივანიშვილზე თავდასხმის მომზადების საქმეზე[46]".
- **გური სულთანიშვილი, PosTV-ის წამყვანი:** „ერთი ამბავია ატეხილი, ბიძინა ივანიშვილი როგორ იდგა ბრონირებული შუშის უკანო. როგორ და ახლა დიფ სტეიტს, გლობალურ ისტებლიშმენტს და ამ გლობალურ რეპრესიულ წესრიგს სისტემებზე მეტად, პერსონები ებრძვიან. ამ პერსონებში შედის ბიძინა ივანიშვილიც[47].“
- **მამუკა მდინარაძე, ქართული ოცნება:** "შვეიცარიის ბანკი გააკოტრეს, საქართველოში ერთი პარტიოტი ადამიანი [ივანიშვილი რომ დაეშანტაჟებინათ[48]”...

ამავე დროს თავად ივანიშვილი ამერიკის არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში უკრაინაში ომის დასრულებას და ამერიკა-ევროპასთან ურთიერთობის ნორმალიზებას პროგნოზირებდა:

- **ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება:** ‘’გლობალური ომის პარტია სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენით დღევანდელ ამერიკულ და ევროპულ ბიუროკრატიაზე, რაც ქართველ საზოგადოებაში ქმნის განცდას, რომ საქართველოს კონფლიქტი აშშ-სა და ევროკავშირთან აქვს, თუმცა როგორც კი უკრაინაში ომი დასრულდება, ინტერესები შეიცვლება და ეს აღქმაც მყისიერად გაქრება... თუ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ომი იანვარშიც კი შეიძლება დასრულდეს[49].’’

ქართული ოცნების ოპტიმიზმს, რომ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა საქართველოსთან მიმართებით ფუნდამენტურ ცვლილებებს გამოიწვევდა, ღიად კრემლისტური აქტორები ნაკლებად იზიარებდნენ:

- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „მოსახლეობის ნახევარია ლიბერასტია ამერიკაში, კაცო. მთელი კორპორაციები, ჰოლივუდი, დიფ სტეიტი, ანუ საერთოდ არაა გამორიცხული, რომ ტრამპმა ვერაფერი ვერ უქნას მაგათ[50].“
- **მამუკა კარტოზია, სოლიდარობა მშვიდობისთვის:** “დონალდ ტრამპი იყო ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ საქართველოში არაფერი შეცვლილა, მაინც აქტუალური იყო ლგბტ–ს თემა, ანტირუსული პროპაგანდა, თანაც დაუნდობელი, იყო საქართველოს ხელისუფლების გადატრიალების მცდელობები და ა.შ[51].”

---

[44] მარშალპრესი, 10 სექტემბერი https://mpn.ge/archives/54250
[45] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 20 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4254031
[46] რეზონანსი, 5 სექტემბერი https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=211776
[47] მარშალპრესი, 22 აგვისტო https://mpn.ge/archives/53147
[48] იმედი, იმედი LIVE, 17 ივლისი https://bit.ly/40z5VSr
[49] კვირის პალიტრა, 22 - 28 ივლისი
[50] ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 19 ივნისი https://www.myvideo.ge/?video_id=4245715
[51] საქართველო და მსოფლიო, 5 აგვისტო https://geworld.ge/ge/mamuka-kartozia-3/

**უსაფრთხოების გარანტიები და ინტეგრაცია.** სხვადასხვა აქტორები ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ დასავლეთი/ამერიკა საქართველოს უსაფრთხოების გარანტი ვერ იქნებოდა, რადგან არც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებით იყო დაინტერესებული და ვერც ომის დროს საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესძლო. უკრაინაში ომის მიზეზად ნატოს გაფართოება, ხოლო საქართველოს ტერიტორიების დაკარგვის მიზეზად პროდასავლური საგარეო პოლიტიკა სახელდებოდა.

**დიაგრამა 14.** გზავნილები უსაფრთხოების გარანტიებზე (ივლისი-სექტემბერი, 2024)




როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე ხშირად ეჭვქვეშ  დასავლეთის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფას კრემლისტური გაერთიანებები - ალტ-ინფო-კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსი და სოლიდარობა მშვიდობისთვის - აყენებდნენ. დასავლეთის წაქეზებით საქართველოს მიერ ომის დაწყებაზე კი ყველაზე მეტად სახელისუფლებო აქტორები მანიპულირებდნენ.

**დიაგრამა 15.** გზავნილები უსაფრთხოების გარანტიებზე პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




ევროატლანტიკური ინტეგრაციის თემაზე სკეპტიციზმი და კონსტიტუციაში ინტეგრაციის შესახებ ჩანაწერის გადახედვის მოთხოვნა დომინირებდა. შედარებით მცირე იყო გზანილები ნეიტრალიტეტის თაობაზე და იმის შესახებ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ნებისმიერ ფასად არ უნდა მომხდარიყო.

**დიაგრამა 16.** გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე (ივლისი-სექტემბერი, 2024)




როგორც დიაგრამა 17-ზე ჩანს, ევროატლანტიკურ სკეპტიციზმს ყველაზე ხშირად კრემლისტური გაერთიანება კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსი ამკვიდრებდა და კონსტიტუციაში ნატოში ინტეგრაციაზე ჩანაწერის გადახედვას ითხოვდა. მმართველი პარტია და ხალხის ძალა კი მეტწილად ევროკავშირის გადაწყვეტილების უსამართლობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომლითაც თავდაპირველად საქართველოს კანიდატის სტატუსი არ მიენიჭა და ამკვვიდრებდნენ აზრს, რომ ნატოში ინტეგრაცია ნებისმიერ ფასად არ უნდა მომხდარიყო. ამავე მოსაზრებას სახელისუფლებო პროპაგანდისტული ტვ “იმედის” მფლობელიც იზიარებდა:

- **ირაკლი რუხაძე, ბიზნესმენი:** “...არ ხდება გარჩევა რა მინუსებს და რა პლუსებს მოგვიტანს ევროკავშირში შესვლა, თითქოს უპირობო შესვლაა, ნებისმიერ ფასად[52]". **“**ეს [ევროკავშირში ინტეგრაცია] არის აყვანილი საკრალურ დონეზე. წერია კონსტიტუციაშიც და მე თუ მკითხავთ არც უნდა ჩაგვეწერა, კონსტიტუცია ცოტა სხვანაირი დოკუმენტია, მუდმივი დოკუმენტია“.

აღსანიშნავია ისიც, რომ “ქართული ოცნება”, რომელსაც ოპოზიცია საგარეო კურსის ცვლილებასა და დასავლეთში ინტეგრაციის გზიდან გადახვევაში ედავება, წინასაარჩევნო კამპანიაში პროევროპულ ძალად პოზიციონირებდა, რისთვისაც ევროკავშირის სიმბოლიკას და სლოგანს “მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ” იყენებდა. მმართველი პარტია აქცენტს დასავლეთში არსებული განხეთქილებაზე აკეთებდა და აქაც მცდარი დილემის მეთოდით ჭეშმარიტი და ფსევდო ევროპული რეალიების ერთმანეთისგან გამიჯვნას ახდენდა.

- **ბიძინა ივანიშვილი, "ქართული ოცნება":** "არჩევანს ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხო აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ[53]."

---

[52] საქართველო უპირველეს ყოვლისა, 14 ივლისი https://www.facebook.com/photo?fbid=122201987060011712&set=a.122128715630011712
რეზონანსი, 16 ივლისი https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=208801
[53] იმედი, იმედი LIVE, 8 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4251506

**დიაგრამა 17.** გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




**რუსეთთან ურთიერთობები.** რუსეთთან ურთიერთობების ნაწილში დომინირებდა გზავნილი, რომელიც რუსეთის ქმედებების ირიბ გამართლებას წარმოადგენდა, რადგან საქართველოში 2008 წლის რუსეთის სამხედრო ინტერვენციაში წინა ხელისუფლების დადანაშაულებას ახდენდა და ამ მოტივით მის გასამართლებას ითხოვდა. ამავე დროს კრემლისტური აქტორების მხრიდან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტად მხოლოდ რუსეთის წარმოჩენა ხდებოდა. წინა წლების მსგავსად კვლავ აქტუალური იყო გზავნილი, რომელიც რუსეთიდან მომდინარე საფრთხიდან ყურადღების ისტორიულ საფრთხეებზე (თურქეთის ოკუპაცია) გადატანას ცდილობდა და ამკვიდრებდა მოსაზრებას, რომ თურქეთის საფრთხის შეკავება რეგიონში მხოლოდ რუსეთს შეეძლო.

**დიაგრამა 18.** გზავნილები რუსეთთან ურთიერთობებზე (ივლისი-სექტემბერი, 2024)




2008 წლის ომში საქართველოს დადანაშაულობას და ყოფილი სახელისუფლებო პარტიის გასამართლების მოთხოვნას ყველაზე ხშირად ქართული ოცნება/ხალხის ძალა ახმოვანებდა, ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების გარანტად რუსეთის წარმოჩენას კი ყველაზე მეტად კრემლისტური პარტიები ახდენდნენ.

**დიაგრამა 19.** გზავნილები რუსეთთან ურთიერთობებზე პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




## 1.2.3. იდენტობა/ლიბერალიზმი

იდენტობასთან და ლიბერალიზმთან დაკავშირებით შემდეგი მთავარი გზავნილები გამოიკვეთა:

1. დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას/მიუღებელ ღირებულებებს
2. ებრძვის ტრადიციულ იდენტობას/ებრძვის ეკლესიას/მართლმადიდებლობას
3. დასავლეთი საკუთარი გენდერულ-ლიბერალური/საემიგრაციო პოლიტიკის მსხვერპლია
4. ლიბერალური ფაშიზმი უნდა დასრულდეს/ლიბერალიზმმა თავისი თავი ამოწურა.

იდენტობასთან დაკავშირებულ გზავნილებში ჰომოსექსუალობის თავსმოხვევის თემა კოლექტიურ დასავლეთთან და ევროკავშირთან მიმართებით დომინირებდა, რაც მეტწილად მმართველი პარტიის მიერ წინასაარჩევნოდ ინიცირებულ და მიღებულ “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ” კანონს[54] უკავშირდებოდა, რომელიც საჯარო დისკურსში “გეი-პროპაგანდის” აკრძალვის მიზნებთან იყო გაიგივებული. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივებით წინა წლებში კრემლისტური აქტორები გამოდიოდნენ, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობა ამ ინიციატივებს შემდგომ მსვლელობას არასოდეს აძლევდა[55]. ჰომოფობიური განწყობები ასევე უკავშირდებოდა პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ლგბტქ+ აქტივისტის სცენას, ასევე ცალკეული დასავლელი პოლიტიკოსებზე ინდივიდუალურ თავდასხმებს, რაც მათი მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკასთან იყო ბმაში. განსაკუთრებული სამიზნე ამ მხრივ გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი[56] იყო, რომელსაც მართლმადიდებლობასთან მებრძოლადაც წარმოაჩენდნენ. “უცხოური აგენტების” შესახებ კანონის კრიტიკის საპასუხოდ, როთის პირად ცხოვრებას დისკრედიტაციის კამპანიისთვის არა მხოლოდ მეინსტრიმულ მედიაში, სოციალურ ქსელებშიც აქტიურად იყენებდნენ.

- **ზვიად ავალიანი, წამყვანი:** „... ეს არის ადამიანი [მიხაილ როთი], რომელიც თვითონ ოფიციალურად ელგებეტე თემის წარმომადგენელია და გათხოვილია... ჩამოვა და გააკეთებს იმ განცხადებებს, რაც მისგან მოსალოდნელია და რასაც მასაც სთხოვენ, ასევე, გლობალური ომის პარტია[57].“

---

[54] ევროკავშირი გმობს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის „ნაჩქარევად“ მიღებას, 6 სექტემბერი, 2024 https://bit.ly/3YDpWVt
[55] მედიის განვითარების ფონდი (2023). “ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში” გვ. 67 https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/239
[56] Civil.ge, 16 სექტემბერი. “გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს სტუმრობს” https://civil.ge/ka/archives/624391
[57] პოსტ TV, პოსტ ანალიტიკა, 11 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4252040

ამასთანავე, ჰომოფობიურ კონტექსტში ისევ ხდებოდა მცდარი დილემის ტექნიკის გამოყენებით აპელირება იმაზე, რომ დასავლეთი გაყოფილია და საქართველომ თავისი ადგილი ტრადიციულ, კონსერვატიულ სივრცეში უნდა იპოვოს და არა “გარყვნილში”, თუნდაც ამის საფასური ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია იყოს. ამავე კონტექსტში კეთდებოდა ევროკავშირის საწინააღმდეგო განცხადებები, რომლის თანახმად, ღირსებით ევოპისკენ სვლა ევროკავშირის შემთხვევაში, შეუთავსებელი იდეოლოგიის გამო, გამორიცხული იყო:

- **დავით ქართველიშვილი, ხალხის ძალა:** „რაც შეეხება ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, ის “მარშრუტი”, რომელიც მაიკლ როთისთვის ზოგადად მიმზიდველია – საქართველოსთვის მუდამ დაკეტილი იქნება. ჩვენ, ქვეყნის ინტერესების დასაცავად და მისი მომავლისთვის – ტრადიციული და კონსერვატიული გზების მაძიებლებს წარმოვადგენთ[58]" .
- **გიორგი ახვლედიანი, PosTV-ის წამყვანი:** „მარტო ის რად ღირს, რომ იტალიაში მოქმედებს... არა ლგბტ საქმეთა სამინისტრო, რომლის შექმნასაც ევროკავშირი ითხოვს, არამედ ოჯახის საქმეთა სამინისტრო, რომელიც ტრადიციული ოჯახური ფასეულობების დაცვასა და გამყარებაზეა ორიენტირებული[59]”.
- **ნინო რატიშვილი, ტვ ობიექტივის წამყვანი:** „შემოგვთავაზა მმართველმა პარტიამ, ხელისუფლებამ „ღირსებით ევროპაში”. იცით რა? ევროპა ძაან მრავალფეროვანია, ალბათ, დამეთანხმებით, მაგრამ ევროკავშირი - ეს არის კოლექტიური, ოფიციალური დასავლეთი, რომლის იდეოლოგია აბსოლუტურად შეუსაბამოა ჩვენთვის[60]”.
- **დავით ზარდიაშვილი, რეზიდენტი ავტორი:** „რაც არ უნდა დიდი იყოს წინააღმდეგობა და ზეწოლა დასავლეთის „ძლევამოსილი“ ლიბერალური წრეებისგან, შესაბამისად – ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის შექმნილი რისკი, მას მრავალგზის აღემატება ეროვნული ღირსების შელახვის უმძიმესი საფრთხე, ხოლო ამ გზით, სამოქალაქო მშვიდობის გარდაუვალად დარღვევა[61]”.

როგორც დიაგრამა 20-ზე ჩანს, სხვა გზავნილებთან ერთად, გარკვეულ შემთხვევებში მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ დასავლეთში არსებული კრიზისი მათ გენდერულ-ლიბერალურ და საემიგრაციო პოლიტიკას უკაშირდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ტრადიციული იდენტობა დაკარგეს, უკრაინაც ფიგურირებდა, რომელიც ამასთანავე ეკლესიასთან და რელიგიასთან მებრძოლადაც იყო წარმოჩენილი, რაც უკრაინის მიერ მოსკოვს დავქემდებარებული ეკლესიის აკრძალვას[62] უკავშირდებოდა. ამასთანავე, კრემლისტური კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსის მხრიდან ზელენსკისთან მიმართებით ანტისემიტური განცხადებებიც კეთებოდა:

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „ფაქტიურად, ყველაფერს აკეთებს ზელენსკის მთავრობა იმისთვის, რომ მართლმადიდებლობა უკრაინაში ჩანაცვლდეს გრეკო-კათოლიციზმით.... ზელენსკი საერთოდ ებრაელია, პოლონელი ებრაელი, საერთოდ არც მართმადიდებელი, არაფერი[63]”.
- **ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა:** „ძაან საინტერესოა, რო ებრაელი კავეენშიკი აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტად და უკრაინაში მართმადიდებლობა გააუქმა... ჩაატარეს რაღაც კიევში გეი აღლუმი, რუსეთს ეომნენ, აი, ერთი ენა რო აქვთ და ერთი ეთნოსი რო აქვთ, იმ ხალხს ეომნენ ევროპის სიყვარულში, რა და აი, მაგის ბოლო თუ ეგრე დამთავრდა, რო აი უკრაინა მართლა გაპიდარასტდა, განაცისტდა, მართმადიდებლობაზე უარი თქვა[64]“...

---

[58] მარშალპრესი, 21 სექტემბერი https://mpn.ge/archives/54929
[59] პოსტვ, ლიბერალიზმის ანატომია, 12 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=4252710
[60] ობიექტივი, სტუდია N8, 6 სექტემბერი https://www.myvideo.ge/?video_id=4251675
[61] საქართველო უპირველეს ყოვლისა, 7 სექტემბერი https://geo-first.com/sakonstitucio-umravlesobis-dilema-me-2-nawili/
[62] EuronewsGeorgia, 21 აგვისტო, 2024. უკრაინაში რუსეთთან კავშირში მყოფი ეკლესიები აკრძალეს https://bit.ly/4fCV2Du
[63] ობიექტივი, სტუდია N8, 30 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4250112
[64] ალტ ინფო, ალტ-ანალიტიკა, 6 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4251522

**დიაგრამა 20.** იდენტობასთან დაკავშირებული გზავნილები (ივლისი-სექტემბერი, 2024)




გზავნილები, რომლებიც რუსეთის მესიანისტურ მისიაზე ამახვილებდა ყურადღებას და ამკვიდრებდა აზრს, რომ იდენტობის დაცვა მხოლოდ მართლმადიდებელ რუსეთს შეეძლო, შედარებით ნაკლები იყო.

- **ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი:** „რატომ ებრძვიან დღეს რუსეთს?.. ებრძვიან იმიტომ, რომ რუსეთი არის მართლმადიდებლობის ფარი დღეს მსოფლიოში. რომ არა რუსეთი, დღეს ერთსქესიანთა ქორწინებაც დაკანონდებოდა მთელ მსოფლიოში და საერთოდ, ქრისტიანების და ეკლესიების ნგრევა იქნებოდა ყველგან[65]."

ცალკე გამოვყავით ანტილიბერალური გზავნილები, რომელთაგან დომინირებდა აზრი, რომ ლიბერალიზმმა თავი ამოწურა და რომ "ლიბერალური ფაშიზმი" უნდა დასრულდეს. ხდებოდა ლიბერალიზმის ეკლესიასთან და ტრადიციულ იდენტობასთან დაპირისპირება და აზრის დამკვიდრება, რომ ლიბერალიზმი მორალურ კატეგორიებს უგულებელყოფს და პატრიოტიზმთან შეუთავსებელია.

**დიაგრამა 21.** გზავნილები ლიბერალიზმის შესახებ (ივლისი-სექტემბერი, 2024)




პარტიებიდან ანიტილიბერალურ გზავნილებს ყველაზე ხშირად კრემლისტური კონსერვატიული მოძრაობა/პატრიოტთა ალიანსი ავრცელებდა. როგორც კრემლისტური, ასევე სახელისუფლებო აქტორები იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ლიბერალები ეკლესიას/რელიგიას ებრძვიან და რომ ფსევდოლიბერალური ფაშიზმი ტრადიციულ იდენტობას უპირისპირდება.

---

[65] სეზონი, ნიკოლოზ მჟავანაძის დღის შეჯამება, 31 ივლისი https://www.myvideo.ge/?video_id=4246592

- **კახა კალაძე, ქართული ოცნება:** „ფსევდოლიბერალიზმით შენიღბული ფაშიზმი ცდილობს გაანადგუროს მთავარი ღირებულებები- რწმენა, ოჯახი, სამშობლო[66]...”
- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** "გამოსავალი რომელსაც ლიბერალები გვთავაზობენ, არის კატასტროფა - მოდი ჩვენ ახლა ევროპელებს დავემსგავსოთ და გავქრეთ[67]".
- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „...ლიბერალური იდეოლოგია ჩვენს მოქალაქეებს ტვინში უნერგავს და განსაკუთრებით ქალებს, იმ აზრს, რომ ოჯახი არ არის საჭირო, დედობა არის რაღაც ჩამორჩენილობა და იყო ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი, რომელიც რაღაც კარიერასააწყობს და იქნება ბიზნეს ვუმენი[68]...“

აღსანიშნავია, რომ ანტილიბერალური დისკურსის შესაქმნელად, ხელისუფლება ახლადდაფუძნებულ ორგანიზაციებს იყენებდა, მაგალითად, ორგანიზაცია “ქართული”, უმცირესობის მიერ უმრავლესობის დიქტატზე და ნეოლიბერალიზმის საფრთხეებზე განცხადებებს ხელისუფლებასთან სინქრონში აკეთებდა:

- **საზოგადოება ქართულის განცხადება:** “სავსებით სამართლიანი ბრძოლა უმცირესობის უფლებებისთვის და მათზე ძალადობის აღსაკვეთად, ნეოლიბერალური რადიკალების ხელში იქცა უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებისა და ტრადიციულ ინსტიტუტებთან ბრძოლის ეფექტურ იარაღად[69].”

ამავე დროს, მმართველი პარტიის მხრიდან არასამთავრობოების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის მიზნების, ასევე საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების ამოცანის ლიბერალურ ფაშიზმთან ბრძოლის აუცილებლობით გამართლება ხდებოდა:

- **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** “...ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რაც ჰქონდა „გამჭვირვალობის კანონს“ იყო, სწორედ, ლიბერალური ფაშიზმის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა[70]”.
- **ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება:** „ჩვენ გვჭირდება განსაკუთრებულად მყარი, საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება იმისათვის, რომ საბოლოოდ დავასრულოთ ომის პარტია, აგენტურა, რადიკალიზმი, პოლარიზაცია და ლიბერალური ფაშიზმი საქართველოში[71]“.

**დიაგრამა 22.** გზავნილები ლიბერალიზმის შესახებ პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




---

[66] მარშალპრესი, 21 აგვისტო https://mpn.ge/archives/53055
[67] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 8 ივლისი https://www.myvideo.ge/v/4242192
[68] ალტ-ინფო. ალტ-ანალიტიკა, 2 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4247384
[69] მარშალპრესი, 2 აგვისტო https://mpn.ge/archives/52127
[70] მარშალპრესი, 6 სექტემბერი https://mpn.ge/archives/54003
[71] რეზონანსი, 17 ივლისი https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=208911

### 1.2.4. უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციასთან დაკავშირებით რამდენიმე გზანილი გამოიკვეთა, რომლებიც ნაწილობრივ წინა თავებშიც განვიხილეთ. ეს გზავნილებია:

1. უკრაინაში ომის მიზეზი ნატოს გაფართოებაა
2. დასავლეთმა უკრაინა გაწირა, მიატოვა
3. უკრაინის ხელისუფლება ომის ხარჯზე მდიდრდება
4. უკრაინის ხელისუფლება საკუთარ ხალხს წირავს
5. რუსეთი და უკრაინა მოძმე ერია/დასავლეთმა მოძმე ერები ერთმანეთს გადაჰკიდა.
6. უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობდა. ის სტალინმა შექმნა

უკრაინის თემატიკა წინასაარჩევნოდ ძირითადად იმის საილუსტრაციოდ გამოიყენებოდა, რომ არაპრაგმატული პოლიტიკის შემთხვევაში, საქართველოს უკრაინის ბედი ელოდა, ხოლო დასავლეთი უკრაინის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა. ამასთანავე, მმართველი პარტია და კრემლისტური აქტორები ზოგჯერ უკრაინას არამეგობრულ ქვეყნად განიხილავდნენ.

- **ირაკლი ქადაგიშვილი, ქართული ოცნება:** „სამწუხაროდ, უკრაინა იქცა ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი სპეციალური ოპერაციების, რომ იტყვიან შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელების ქვეყანად[72].“

უსაფრთხოების და ქართულ-უკრაინული ურთიერთობების საკითხების გარდა, გზავნილების ნაწილი უკრაინელების იდენტობას და უკრაინის, როგორც სახელმწიფოს არსებობის უარყოფას უკავშირდებოდა, რასაც ძირითადად კრემლისტური აქტორები ახმოვანებდნენ:

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „... რუსები და უკრაინელები უახლოესი ნათესავები არიან... ანუ წარმოიდგინე, რამხელა რამე ქნა [ამერიკამ და დასავლეთმა] - ბიძაშვილ-მამიდაშვილები აომა ერთმანეთთან[73].“
- **მამუკა კარტოზია, სოლიდარობა მშვიდობისთვის:** „სახელმწიფო უკრაინა არ არსებობდა, რომელიც შემდეგ შექმნა საბჭოთა კავშირმა და სტალინმა ექვსი ოლქი წაართვა პოლონეთს, რო უკრაინისთვის გადაეცა[74].“

### 1.2.5. ეკონომიკა/დახმარება

ეკონომიკასა და დასავლურ დახმარებებზე შემდეგი ძირითადი გზავნილები გამოიკვეთა:

1. დასავლური დახმარება არა ქართველ ხალხს, არამედ მის აგენტურას/იდენტობასთან ბრძოლას ხმარდება
2. დასავლეთი ეკონომიკურ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს/ხელს არ უწყობს საქართველოს განვითარებას/არ გვეხმარება
3. რუსეთის ბაზარი რეალურია, დასავლური ხელმისაწვდომი არ არის
4. საქართველომ ადგილი დასავლეთის ალტერნატიულ გაერთიანებებში (ბრიქსი, 3+3) უნდა ეძებოს

ეკონომიკასთან და დასავლურ დახმარებასთან დაკავშირებული გზავნილები ძირითად ავითარებდა სკეპტიციზმს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკული/დასავლური დახმარება არა ქართველ ხალხს, არამედ მათ აგენტურას და ლგბტ პროპაგანდას ხმარდებოდა. ყურადღება მახვილდებოდა ასევე იმაზე, რომ დასავლური დახმარებები პოლიტიკურ პროცესზე იყო მიმართული და რადიკალებს ხმარდებოდა. ცალკე კრიტიკის საგანი იყო ევროკავშირის გადაწყვეტილება[75], რომლითაც არადემოკრატიული პროცესების გამო, საქართველოს თავდაცვის

---

[72] პოსტ TV, პოსტ ანალიტიკა, 24 ივლისი https://www.myvideo.ge/?video_id=4245004
[73] ობიექტივი, სტუდია 8, 25 ივლისი https://www.myvideo.ge/?video_id=4246233
[74] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 12 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4252498
[75] რადიო თავისუფლება, 9 ივლისი, 2024, „იქნება სხვა ნაბიჯებიც“ - ევროკავშირმა საქართველოს 30 მილიონი ევროს დახმარება შეუჩერა”

გასაძლიერებლად გამოყოფილი 30 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება შეჩერდა და სამოქალაქო საზოგადოების და მედიის განვითარებისკენ მიემართა.

სკეპტიციზმს ავითარებდა ასევე გზავნილები, რომელთა თანახმად, ამერიკა/დასავლეთი და ევროკავშირი ეკონომიკურ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფენ და საქართველოს არ ეხმარებიან.

**დიაგრამა 23.** გზავნილები ეკონომიკისა დაა დასავლური დახმარების შესახებ  (ივლისი-სექტემბერი, 2024)




პოლიტიკური სუბიექტებიდან დასავლური დაფინანსების პოლიტიკურ მოტივებზე კრიტიკას როგორც სახელისუფლებო, ასევე კრემლისტური აქტორები გამოხატავდნენ. ჯარისთვის დაფინანსების შეჩერებაზე უკმაყოფილებას კი მეტწილად სახელისუფლებო პარტია გამოხატავდა.

- **შალვა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:** “ეს თუ დემოკრატია არის, თავის ქვეყანაში განავითარონ ესეთი დემოკრატია... ევროკავშირის ფული მიდის ორგანიზაციაში, რომელიც მოლოტოვის კოქტეილის რომანტიზებას ახდენს[76].”
- **კახა კალაძე, ქართული ოცნება:** „ჯარს ამოაცალეს თანხები და გიგაურს და ლომჯარიას მისცეს. ეს არის მათი დემოკრატია, მიდგომები[77]“.
- **დავით ქართველიშვილი, ხალხის ძალა:** „საქართველოში დიდი ხანია „ფაქტზე“ გვყავს გამოჭერილი იგივე USAID თუ NED ოპოზიციური პარტიებისა და მათთან აფილირებული ენჯეო-სექტორის ანტისახელისუფლებო დაფინანსებაში[78]".
- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** "...ანუ ამერიკა და დასავლეთი რო საქართველოში დებს [ფულს], მე ვგულისხმობ საკუთარ აგენტურაში და ეს ენჯეო სექტორი არის აგენტურა... და ხშირად, რაც უნდა გააკეთონ, 95% ეგ ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს[79]."
- **ზვიად ავალიანი, ნამყვანი:** „ქვეყანაში შემოდის ფული უცხოეთიდან, რომელიც მიმართულია ქართულ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, არჩევნებზე გავლენის მოსახდენად... პირდაპირ ვთქვათ - „ქართული ოცნების” წინააღმდეგ, რადიკალური „ნაციონალური მოძრაობის” და კოლექტიური „ნაცმოძრაობის” სასარგებლოდ[80]”.

https://www.radiotavisupleba.ge/a/33027609.html
[76] იმედიLIVE, 18 ივლისი https://www.myvideo.ge/v/4245341
[77] მარშალპრესი, 10 ივლისი https://mpn.ge/?p=50122
[78] მარშალპრესი, 18 აგვისტო https://mpn.ge/archives/52892
[79] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა,  26 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/4249687
[80] პოსტვ, პოსტ-ანალიტიკა, 27 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4249642

**დიაგრამა 24.** გზავნილები ეკონომიკისა დაა დასავლური დახმარების შესახებ პარტიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




რუსეთის ბაზრის უპირატესობაზე გზავნილები შედარებით ნაკლები იყო და მას ძირითადად კრემლისტური აქტორები ახმოვანებდნენ. თუმცა ამავე დროს, გამოითქმოდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საქართველოს ადგილი დასავლეთის ალტერნატიულ გაერთიანენებში (3+3 და ბრიქსი) უნდა ეპოვნა და რომ ბრიქსი „კოლექტიურ დასავლეთსა" და „გლობალურ სამხრეთს" შორის ბზარს აჩენდა.

- **გიორგი ქარდავა, კონსერვატიული მოძრაობა:** „34 წელი გავიდა რაც ვაშლი გაგაქვთ ამერიკაში და მაიამიში, რა ვერ გაიტანეთ ეს დალოცვილი ძალიან მაინტერესებს? 34 წელია რუსეთთან ვომობთ, რუსეთის ჯარი დგას და მაინც რუსეთში გადის ვაშლი ავად თუ კარგად[81]."
- **თემურ ფიფია, სოლიდარობა მშვიდობისთვის:** "უფრო ხელსაყრელი პირობებით ჩავალთ რუსეთის ბაზარზე, ყაზახეთის ბაზარზე, ევრაზიულ სივრცეში. პირობები მომზადდება იმისათვის, რომ იმ სტრუქტურებში გავწერიანდეთ... არა ევრო-ატლანტიკურ იმ წიაღში, არამედ აქეთ მხარეს, ევრაზიულ სივრცეში[82]".
- **ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი:** "... ბრიქსის ფორმატები საერთოდ მიმზვედველია, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ 3+3 ფორმატში გველოდებიან და კარგი იქნება, თუ აქითკენ გადავდგამთ ნაბიჯს, იმიტომ რომ ამით ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისკენაც გადავდგამთ ნაბიჯს[83]."

## 1.2.6. ჩინეთთან ურთიერთობები

ანტიდასავლური გზავნილები, რომლებიც ჩინეთს მიემართებოდა, შედარებით მცირე იყო და ძირითადად ამკვიდრებდა აზრს, რომ:

1. დასავლეთი საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ეწინააღმდეგება
2. დასავლეთი თავისი ქმედებებით ჩინეთისა და რუსეთის ალიანსს უწყობს ხელს.

ჩინეთთან ურთიერთობების გამო დასავლეთის კრიტიკაზე კომენტარებს ძირითადად სახელისუფლებო ექსპერტები და მედია აკეთებდა. ამავე დროს, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ

---

[81] ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 15 აგვისტო https://www.myvideo.ge/?video_id=4248079
[82] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 18 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4253304&rc=1
[83] სეზონიTV, დღის შეჯამება, 5 ივლისი https://www.myvideo.ge/v/4242434

იმას, რომ პრაგმატული პოლიტიკის წყალობით მათ როგორც ჩინეთის, ასევე რუსეთის ბაზარი გახადეს ხელმისაწვდომი; ჩინეთთან ურთიერთობები კი დასავლეთთან ურთიერთობის შემავსებელ ფაქტორად განიხილებოდა და არა გამყოფად:

- **მაგდა ანიკაშვილი, ჟურნალისტი** „შეშფოთება გვესმის საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობების განვითარების საკითხზეც, როგორც აშშ-ის გარკვეული ფიგურების მხრიდან, ასევე, ევროკავშირის მხრიდან[84]."
- **გოგა ხაინდრავა, რეჟისორი:** „რატომ არის ასეთი შემოტევა? იმიტომ, რომ შენი ფასი გაიზარდა, შენ დარჩი ერთადერთი კარიბჭე, რომელიც აერთიანებ დიდ ჩინეთს, რომელიც დამიჯერეთ, 22-ე საუკუნის ქვეყანაა და ევროკავშირს – ეს ურთიერთობა, ამერიკას არ აწყობს, იმიტომ, რომ მთელი ევროკავშირი “ამოდებული” ჰყავთ დიდი ხანია[85]."
- **ირაკლი ღარიბაშვილი, ქართული ოცნება:** „გავხსენით უზარმაზარი ჩინეთის ბაზარი, რუსეთის ბაზარი, დღეს სრული თავისუფლება აქვს ხალხს, როგორც გადაადგილების, ისე ვაჭრობის, მეწარმეობის, საკუთარი ნიჭისა რეალიზების[86]".
- **ირაკლი კობახიძე, პრემიერ-მინისტრი**: „ჩინეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება არის არა ალტერნატივა დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებისთვის, არამედ ეს არის შემავსებელი ფაქტორი[87]."

## 1.3. წყაროები

პარტიები. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ანტიდასავლური და ირიბად რუსეთის მხარდამჭერი განცხადება სახელისუფლებო პარტია ქართულმა ოცნებამ და მასთან საარჩევნო ალიანსში მყოფმა ხალხის ძალამ[88] (1071) გააკეთეს. მმართველმა პარტიამ ღიად ანტიდასავლური განცხადებების კეთება მის სატელიტ “ხალხის ძალასთან” ერთად უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ დაიწყო და ეს რიტორიკა მას შემდეგ უფრო გაამძაფრა, რაც 2022 წელს საქართველოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა[89].

ანტიდასავლური გზავნილების მხრივ მეორე ადგილზე კრემლისტური პარტიების საარჩევნო კოალიციაა, რომელიც ალტ-ინფო-კონსერვატიულ მოძრაობას[90], პატრიოტთა ალიანსსა[91] და ქართულ იდეას[92] აერთიანებდა (788). კონსერვატიული მოძრაობა, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს ევრაზიანისტული მოძრაობის დამფუძნებელ ალექსანდრე დუგინთან, და წარსულში ექსტრემისტულ ქმედებებშიც იყო ჩართული, საგარეო კურსის რადიკალური ცვლილების, რუსეთთან სამხედრო მეკავშირეობის და ლიბერალიზმის ქრისტიანულ-კონსერვატიული იდეოლოგიით ჩანაცვლების ინიციატივით გამოდიოდა. ამავე ალიანსში შედის პატრიოთა ალიანსი[93], რომელმაც თურქიფობიური განწყობების გაღვივებით და ნეიტრალიტეტის ადვოკატირებით დაიმკვიდრა თავი და ქართული იდეა[94], რომელიც ჰომოფობიური და ქსენოფობიური განწყობების გაღვივებით გამოირჩევა.

შემდეგ ადგილს ანტიდასავლური გზავნილების მხრივ პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნილი “სოლიდარობა მშვიდობისთვის[95]” იკავებს, რომელიც მანამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით ფუნქციონირებდა. პარტიას მჭიდრო კავშირები აქვს კრემლთან და რუსეთ-საქართველოს შორის ახალი გიორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების ინიციატივითაც კი გამოდის.

---

[84] იმედი, იმედიLIVE, 29 ივლისი 21:44-22:11 https://www.youtube.com/watch?v=ov_T9G-GIYY
[85] მარშალპრესი, 18 ივლისი https://mpn.ge/?p=50896
[86] მარშალპრესი, 8 სექტემბერი https://mpn.ge/archives/54137
[87] იმედი, იმედიLIVE, 29 ივლისი 22:12-22:35 https://www.youtube.com/watch?v=ov_T9G-GIYY
[88] ქართული ოცნება და ხალხის ძალა https://mythdetector.com/ka/profiles/qarthuli-otsneba/
[89] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა 2022 https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/251
[90] ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა https://mythdetector.com/ka/profiles/alt-inpho/
[91] პატრიოტთა ალიანსი https://mythdetector.com/ka/profiles/patriottha-aliansi/
[92] ქართული იდეა https://mythdetector.com/ka/profiles/qarthuli-idea/
[93] მითების დეტექტორი, პატრიოტთა ალიანსი https://mythdetector.com/ka/profiles/patriottha-aliansi/
[94] მითების დეტექტორი, ქართული იდეა https://mythdetector.com/ka/profiles/qarthuli-idea/
[95] სოლიდარობა მშვიდობისთვის https://mythdetector.com/ka/profiles/politikuri-gaerthianeba-solidaroba-mshvidobisthvis/

**დიაგრამა 25.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პარტიების/საარჩევნო კოალიციების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




**მედია.** მედიები, რომლებიც ანტიდასავლურ გზავნილებს ავრცელებდნენ ან ასეთი გზავნილების გამტარები რესპონდენტების პოზიციის ხშირი გაშუქების გამო იყვნენ, სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით 1) კრემლისტურ/ულტრამემარჯვენედ და 1) სახელისუფლებოდ დავყავით.

კრემლისტური/ულტრამემარჯვენე მედიებიდან ყველაზე მეტ ანტიდასავლურ გზავნილს სეზონი ტვ-ის[96] (318) წამყვანები ახმოვანებდნენ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კრემლისტური ტვ ალტ-ინფოს[97] ეთერში ძირითადად ამავე ტელევიზიასთან დაკავშირებული კონსერვატიული მოძრაობის წევრები ისხდნენ და მედიის და პარტიის ერთმანეთისგან გამიჯვნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, თუმცა საარჩევნო ციკლის გამო, პარტიის წარმომადგენლები რესპონდენტების კატეგორიაში მოვახვედრეთ. მეორე ადგილზეა "საქართველო და მსოფლიო[98]" (242). ყოველკვირეულ ულტრამემარჯვენე გაზეთ "ასავალ-დასავალში[99]" სარედაქციო კომენტარებს (77), რესპონდენტთა (260) ანტიდასავლური შეფასებები სჭარბობს, ისევე როგორც პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებულ ტვ "ობიექტივში" (რედაქცია -21, რესპონდენტი - 159). შედარებით ნაკლები იყო როგორც სარედაქციო (16), ასევე რესპონდენტთა  (17) კომენტარები "ერი" მედიაში, რომელიც ამავე სახელწოდების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიდერს, რუსეთის საეკლესიო და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებულ ბიზნესმენ ლევან ვასაძეს[100] ეკუთვნის.

სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიებიდან ყველაზე მეტ ანტიდასავლურ გზავნილს PosTV ავრცელებდა (182), რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი "ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ ჯაფარიძეა[101]. პოსტვი განსაკუთრებით ჰომოფობიური და ანტილიბერალური განწყობებით გამოირჩევა, რისთვისაც სპეციალური გადაცემა "ლიბერალიზმის ანატომიაც" კი შექმნა. შემდეგ ადგილზეა კონსერვატიული ონლაინ პორტალი "საქართველო უპირველეს ყოვლისა[102]"(130), რომლის დირექტორი ვატო შაქარაშვილი არჩევნების წინ დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობა "ერთიან ნეიტრალურ საქართველოს" შეუერთდა. გამოცემა ძირითადად დასავლური კონსერვატიულ ავტორებს და კრემლის უცხოელი პროპაგანდისტების გამოსვლებს თარგმნის, ასევე ხალხის ძალის ავტორების პუბლიკაციებს აქვეყნებს. სახელისუფლებო

---

[96] სეზონი ტვ https://mediameter.ge/ge/media-profiles/sezoni-tv
[97] ალტ-ინფო https://mediameter.ge/ge/media-profiles/alt-inpo
[98] საქართველო და მსოფლიო https://mythdetector.com/ka/profiles/saqarthvelo-da-msophlio/
[99] ასავალ-დასავალი https://mediameter.ge/ge/media-profiles/gazeti-asaval-dasavali
[100]ლევან ვასაძე https://mythdetector.com/ka/profiles/vasadze-levan-2/
[101] PosTV https://mediameter.ge/ge/media-profiles/pos-tv-pos-tv
[102] საქართელო უპირველეს ყოვლისა https://mediameter.ge/ge/media-profiles/sakartvelo-upirveles-qovlisa

ტელეკომპანია “იმედში[103]” (24 - სარედაქციო, 207- რესპონდენტი), ისევე როგორც ონლაინ სააგენტო “მარშალპრესზე[104]” (7 - სარედაქციო, 815 - რესპონდენტი) ანტიდასავლური კომენტარების სიჭარბე რესპონდენტების ხარჯზე მიიღწევა. ანალოგიური ვითარებაა გაზეთ “რეზონანსშიც[105]” (1 - სარედაქციო, 236 - რესპონდენტი).

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამა ცხადყოფს, ზოგიერთი მედია რესპონდენტების შერჩევის ხარჯზე არის ჭარბი ანტიდასავლური გზავნილების გამტარი, ზოგი კი საკუთრივ სარედაქციო კომენტარების, ან ორივესი ერთად. ამასთან გამოიკვეთა მედია საშუალებების პოლიტიკური აფილაციის მიხედვით რესპონდენტთა შერჩევის ტენდენცია. მიუხედავად კოალიციური ერთობისა, კონსერვატიული მოძრაობის ლიდერები ძირითადად მათივე ტვ “ალტ-ინფოზე” ჩნდებოდნენ, ხოლო პატრიოტთა ალიანსი პარტიასთან დაკაშირებულ ტვ ობიექტივზე. სახელისუფლებო აქტორები, ისევე როგორც ექსპერტები, ძირითადად სახელისუფლებო მედიაში ჩნდებოდნენ, თუმცა მათ გზავნილებს კრემლისტურ გამოცემებშიც ვხვდებოდით.

**დიაგრამა 26.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედიების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)

| კრემლისტური/ულტრამემარჯვენე სარედაქციო პოლიტიკის მედია | სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედია |
|---|---|

მედია  რესპონდენტი










103 იმედი https://mediameter.ge/ge/media-profiles/imedi
104 მარშალპრესი https://mediameter.ge/ge/media-profiles/marshal-presi
105 რეზონანსი https://mediameter.ge/ge/media-profiles/gazeti-rezonansi

**NGO.** საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც 2 კატეგორიად დავყავით: 1) სახელისუფლებო და 2) კრემლის პოლიტიკის მხარდამჭერები.

სახელისუფლებო ორგანიზაციების (290) განცხადებები მნიშნელოვნად ჭარბობდა კრემლისტური გაერთიანებების (67) კომენტარებს. სახელისუფლებოდან კი ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი ახლადდაფუძნებულ "ერთიან ნეიტრალურ საქართველოს" (229) ეკუთვნის. სხვების კომენტარები კი შედარებით მცირეა.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების მხარდამჭერი 2 ორგანიზაცია დაფუძნდა: 1. "ერთიანი ნეიტრალური საქართველო[106]", რომელიც კონსერვატიული გამოცემა "საქართველო უპირველეს ყოვლისას" დირექტორ ვატო შაქარაშვილს და სხვა სახელისუფლებო ექსპერტებს აერთიანებს; 2. საზოგადოება "ქართული[107]", რომელიც ეროვნული ღირებულებების დაცვის მიზნით შეიქმნა.

კრემლის მხარდამჭერ ორგანიზაციებში კი ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილი ევრაზიის ინსტიტუტს (17), ორგანიზაცია "სტალინს" (16) და ისლამის კვლევის კავკასიური ინსტიტუტს (11) ეკუთვნით.

**დიაგრამა 27.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით (ივლისი-სექტემბერი, 2024)




**ინფოგრაფიკა 1.** ანტიდასავლური გზავნილების წყაროები სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორების მიხედვით



---

[106] ერთიანი ნეიტრალური საქართველო https://mythdetector.com/ka/profiles/sazogadoebrivi-modzraoba-erthiani-neitraluri-saqarthvelo/

[107] საზოგადოება "ქართული" https://mythdetector.com/ka/profiles/sazogadoeba-qarthuli/

## II. დეზინფორმაცია და სხვა მანიპულაციური შინაარსი სოციალურ მედიაში

ივლისი-სექტემბრის პერიოდში “მითების დეტექტორმა” პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის 25 შემთხვევა გამოავლინა. გარდა ამისა, წინასაარჩევნო კონტექსტში, ინდივიდუალური ფეისბუქ მომხმარებლების მიერ კვლავ ზიარდებოდა “მითების დეტექტორის” მიერ წარსულში გამოვლენილი ვიზუალური მანიპულაციები, რომლებიც როგორც ოპოზიციის[108], ასევე მმართველი პარტიის[109] საწინააღმდეგო შინაარს შეიცავდა.

ყალბი ამბების სამიზნეს არჩევნებში მონაწილე კოალიციური გაერთიანებები, კონკრეტული პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ლიდერები წარმოადგენდნენ, თუმცა გავრცელებული ყალბი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, 25-დან 19 შემთხვევა ოპოზიციის წინააღმდეგ იყო მიმართული:

**დიაგრამა 28.** დეზინფორმაცია და მანიპულაციური შინაარსი პოლიტიკური სუბიექტების წინაღამდეგ




წინასაარჩევნო მონიტორინგის დროს გამოიკვეთა სხვადასხვა დარღვევის ტიპი, მათ შორის ჭარბობდა ვიზუალური მანიპულაციების გავრცელება. ვიდეომანიპულაციებიდან 2 შემთხვევაში გამოვლინდა გენდერული დეზინფორმაცია.

**დიაგრამა 29.** დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის ტიპოლოგია




[108] მითების დეტექტორი, 3 ოქტომბერი, 2022. “მიხეილ უკრაინოლოგი” გიორგი ვაშაძის “ფარულ კონვერტში” მონაწილეობის ვიდეოფაბრიკაციას ავრცელებს https://bit.ly/4endSO8
თეკლა ზარაზიშვილი, 25 მარტი, 2024. ფეისბუქზე ჯაფარიძის “სიცრუის დეტექტორში” სტუმრობის დარედაქტირებული ვიდეო ვრცელდება https://mythdetector.com/ka/japharidzis-daredaqtirebuli-video-vrtseldeba/
[109] მითების დეტექტორი, 8 აგვისტო, 2021. კალაძესთან შეხვედრაზე ბავშვს სააკაშვილის მხარდამჭერი მაისური არ ეცვა https://bit.ly/4fkhl1a

აღსანიშნავია, რომ ყალბი ინფორმაციის წყაროების ტიპოლოგია განსხვავდებოდა სამიზნეების მიხედვით - მმართველი პარტიის საწინააღმდეგო შინაარსის შემთხვევაში, წყაროები ძირითადად იყვნენ ოპოზიციის მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები და კოალიცია "ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" წევრები, ხოლო ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ გავრცელებულ ყალბი ინფორმაციის წყაროებში ჭარბობდა სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედია, სახელისუფლებო ექსპერტები და ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ანონიმური ფეისბუქ გვერდები/ანგარიშები.

## 2.1. ოპოზიციის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი

| **სამიზნე** | **თემა** | **დარღვევის ტიპი** | **წყარო** |
|---|---|---|---|
| **"ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა"** | 1. მანიპულაცია,თითქოს ევროპაში პოლიტიკური პარტიების აკრძალვა მიღებული პრაქტიკაა<br>2. მანიპულაცია მოლდოვასა და უკრაინაში ოპოზიციური პარტიებისა და მედიის აკრძალვის შესახებ<br>3. გენდერული დეზინფორმაცია და რედაქტირებული ვიდეო თინა ბოკუჩავას წინააღმდეგ<br>4. ყალბი დოკუმენტი, თითქოს კობა ნაყოფიას რუსული პასპორტი აქვს<br>5. "ნაციონალური მოძრაობის" ყალბი საარჩევნო სია, სადაც პატიმრობაში მყოფი მეგის ქარდავა, ბაჩო ახალაია, გია ხუხაშვილი და სხვები არიან შეყვანილი<br>6. დეზინფორმაცია, თითქოს ზელენსკიმ თქვა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ომს დაიწყებდა | 2 მანიპულაცია<br><br>2 დეზინფორმაცია<br><br>1 ვიდეომანიპულაცია /გენდერული დეზინფორმაცია<br><br>1 ფოტომანიპულაცია | "ქართული ოცნების" წევრები ნინო წილოსანი, მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე.<br><br>სახელისუფლებო ექსპერტები<br><br>ანტიოპოზიციური ფეისბუქ გვერდები ("სიმართლის დროა", "ბრძენი კრიტიკოსი", "ქვეყნის მტრები", "Pოლიტიკა")<br><br>"ქართული ოცნების" მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები<br><br>სახელისუფლებო მედია ("კვირა", digest.ge, რეზონანსი)<br><br>ქართული ოცნების მხარდამჭერი ფეისბუქ გვერდ "ლიდერი 41-ის" ადმინი დავით თორდია<br><br>ანტილიბერალური ფეისბუქ გვერდი "საქართველო უპირველეს ყოვლისა" |
| **"ძლიერი საქართველო"** | 1. ანა დოლიძის მანიპულაციურად გამოყენებული ციტატა, თითქოს მან ხელისუფლების ცვლილების საჭიროება ავტოავარიებს დაუკავშირა<br>2. ვიდეომანიპულაცია, თითქოს "ლელოს" წევრები "მიშა მაგარიას" და უცენზურო სიმღერას მღერიან<br>3. ალეკო ელისაშვილის დამონტაჟებული ვიდეო, სადაც ის ბარიერის გადალახვაზე ექვს გამოთქვამს | 2 ვიდეომანიპულაცია<br><br>1 ფოტომანიპულაცია<br><br>1 მანიპულაცია | სახელისუფლებო მედია (POSTV, იმედი).<br><br>ფეისბუქ გვერდი "Gogaggg".<br><br>ანტიოპოზიციური ფეისბუქ გვერდი "შიგ ევროპაში"<br><br>გახარიასთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდი "მიხეილ ბიძინაური"<br><br>"ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის" მხარდამჭერი ანგარიშები<br><br>ტვ "იმედის" თანამშრომელი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4. ფოტომანიპულაცია, თითქოს რუსთავში “ძლიერი საქართველოს” შეხვედრაზე ხალხი არ მივიდა | | |
| **“კოალიცია ცვლილებებისთვის”** | 1. ნიკა გვარამიას სახელით გაკეთებული ყალბი განცხადება, თითქოს “ქართულმა ოცნებამ” საქართველო-ჩეხეთის საფეხბურთო მატჩი ჩააწყო<br>**2.** მანიპულაცია, თითქოს ნიკა გვარამიამ ანტიიურქული განცხადება გააკეთა<br>**3.** გვარამიას ინტერვიუდან უკონტექსტოდ მოჭრილი მონაკვეთი მისი დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს<br>4. ყალბი ფოტო, თითქოს კახეთში გლეხმა ნიკა გვარამიას საფრთხობელა დადგა | 1 გაყალბებული ციტატა<br><br>1 მანიპულაცია<br><br>1 ვიდეომანიპულაცია<br><br>1 ფოტომანიპულაცია | “ქართული ოცნების” მხარდამჭერი ფეისბუქ და ტიკტოკ მომხმარებლები<br><br>სახელისუფლებო მედია (POSTV, კვირა, რეზონანსნიუსი, for.ge, რეპორტიორი)<br><br>ანტიოპოზიციური ფეისბუქ გვერდები და ანონიმური ანგარიშები (“Pოლიტიკა”, “მიხეილ განუბაჟებელი“, “ნაცი ხვიტია“) |
| **პატრიოტთა ალიანსი/კონსერვატიული მოძრაობა** | 1. ირმა ინაშვილის სახელით გაკეთებული ყალბი განცხადება, თითქოს კოკა მორგოშიას პრემიერის კანდიდატურაზე წარადგენენ<br>2. კოკა მორგოშიას ყალბი ციტატა, თითქოს ის პრემიერობის პოსტზე კანდიდატურის წარდგენისთვის მადლობას იხდის | 2 გაყალბებული ციტატა | სახელისუფლებო, ირაკლი ჯანყარაშვილთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდი “ჯანსაღი ძალა”. |
| **პროდასავლური ოპოზიცია** | 1. ვიდეომანიპულაცია, თითქოს ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ომისკენ მოუწოდებენ<br>2. ვიდეომანიპულაცია, რომელშიც “ქართული ოცნების” ლიდერები ოპოზიციის “ომს “ “მშვიდობას” უპირისპირებენ | 2 ვიდეომანიპულაცია | “კონსერვატიული მოძრაობის” მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიში “უკვე ევროპაში ვართ”<br><br>ანტიოპოზიციური ანონიმური ფეისბუქ ანგარიში “პოლიტ ოლოგი”<br><br>“ქართული ოცნების” მხარდამჭერი ფეისბუქ და ტიკტოკ მომხმარებლები |
| **ფედერალისტები** | 1. “ფედერალისტების” რედაქტირებული ვიდეო, თითქოს პარტიამ *ედერასტები დაირქვა | 1 ვიდეომანიპულაცია | “კონსერვატიული მოძრაობის” და “ქართული ოცნების” მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები |

## 2.2. ქართული ოცნების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი

| დარღვევის ტიპი | თემა | წყარო |
|---|---|---|
| 3 გაყალბებული ციტატა | 1. მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილის ყალბი ციტატა, თითქოს მან ხელისუფლება წინასაარჩევნო “აფიორაში” ამხილა<br>2. მეუფე ნიკოლოზის ყალბი ციტატა ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე ოსებისთვის “ბოდიშის მოხდასთან” დაკავშირებით<br>3. მეუფე იობის ყალბი ციტატა, თითქოს მან 2008 წლის ომის დაწყების თემაზე ბიძინა ივანიშვილის განცხადება შეაფასა | ოპოზიციის მხარდამჭერი ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები („ერთად საქართველოსთვის“, „ბრძოლა თავისუფლებისთვის“)<br><br>“ნაციონალური მოძრაობის” მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები |
| 2 ვიდეომანიპულაცია | 1. “ქართული ოცნების” ბანერის რედაქტირებული ვიდეო, თითქოს ბანერზე “კორუფციით, ტენდერებით, ნეპოტიზმით ევროპისკენ” აწერია<br>2. გაყალბებული ვიდეო, თითქოს “ქართულმა ოცნებამ” ბანერი რუსული ტექსტით გააკეთა | “ნაციონალური მოძრაობის” წევრი ჯანო ჟვანია<br><br>“ნაციონალური მოძრაობის” მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებლები<br><br>“ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის” მხარდამჭერი ფეისბუქ მომხმარებელი |
| 1 მანიპულაცია | 1. ენმ-ის ლიდერების განცხადება, თითქოს ხელისუფლება 14 მილიარდის მიღებას ბლოკავს, მანიპულაციურია | “ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა” |

## 2.3. რეგიონული მედიის სახელით მოქმედი სახელისუფლებო ფეისბუქ გვერდები

“მითების დეტექტორი” წინასაარჩევნოდ 1 რეგიონული მედიისა (STV.GE) და 3 ფეისბუქ გვერდის აქტივობას დააკვირდა, რომლებიც რეგიონულ მედიად პოზიციონირებენ (Guria Times • გურია თაიმსი, ქიათურის საათი, სამეგრელოს ქრონიკა). დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ოთხივე ფეისბუქ გვერდი მმართველი პარტიის “ქართული ოცნების” აქტიურ მხარდაჭერას ავლენს.

აღსანიშნავია, რომ STV.GE იმ მედიათა შორისაა, ვინც ყოველწლიურად იღებს  სამთავრობო კონტრაქტებს საბიუჯეტო რეკლამების და ინფორმაციის გავრცელების მიზნით. მედიის სარედაქციო პოლიტიკა “ქართული ოცნების” მხარდამჭერია და უმეტეს ყურადღებას სწორედ მმართველი პარტიის საქმიანობის გაშუქებას უთმობს.


















დანარჩენი სამი ფეისბუქ გვერდის შემთხვევაში ჩანს, რომ მათ რეგიონული მედიის მხოლოდ სახელწოდებები აქვთ, თუმცა არ აქვთ რეგისტრირებული ვებ-საიტები და რეალურად არა მედიას, არამედ მმართველი პარტიის მხარდამჭერ და ოპოზიციის მადისკრედიტირებელ გვერდებს წარმოადგენენ. მათ შორის, გამოიკვეთა Guria Times • გურია თაიმსი, რომელიც 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდშიც იყო გამოვლენილი. Guria Times • გურია თაიმსი შეიმჩნეოდა სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიებთან კოორდინირებულ გავრცელებაში, როდესაც მათ გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარის მიხეილ როთის განცხადებები არჩევნებში ჩარევად შეაფასეს და მასალები იდენტური ტექსტით გაავრცელეს.











# მორიგი ჩარევა საარჩევნო პროცესში - მიხაელ როთი ქართველ ემიგრანტებს ხმის მიცემის პროცესში დახმარებას სთავაზობს

1 ოქტომბერი, 2024

for.ge

A+ A− A

მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს მთავრობის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებით ცნობილი გერმანიის პარლამენტის წევრი, მიხაელ როთი ამჯერად წინასაარჩევნო პროცესში ერთვება.

გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს მიმართავს და დახმარებას ხმის მიცემის პროცესში რეგისტრაციისთვის სთავაზობს, ამისათვის კონკრეტული ადამიანების საკონტაქტო ინფორმაციასაც ავრცელებს. ირკვევა, რომ ამ პროცესში როთის დამხმარე ვინმე ნიკა თათარაშვილია.










## 2.4. ოპოზიციის მადისკრედიტირებელი ახლადშექმნილი ფეისბუქ გვერდები

ოპოზიციის საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაში წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩართულები ანტიოპოზიციური ანონიმური ფეისბუქ გვერდები, რომელთა ნაწილი წინასაარჩევნოდ, ნაწილი კი გასულ წლებში შეიქმნა.

ახლადშექმნილი გვერდებიდან (მაისი-აგვისტო) "მითების დეტექტორმა" 4 ფეისბუქ გვერდი შეისწავლა, რომელთაგანაც სამი მხოლოდ ოპოზიციის მადისკრედიტირებელ პოსტებს აქვეყნებდა, ერთი კი ერთდროულად როგორც ოპოზიციის, ასევე "ქართული ოცნების"; ასევე ორ ფეისბუქ გვერდზე ("მიხეილ ბიძინაური", "ეროვნება ღირსების გარეშე") დაფინანსებული პოსტები გვხვდებოდა. ფეისბუქ გვერდი "ეროვნება ღირსების გარეშე" ამჟამად დეაქტივირებულია, დანარჩენი გვერდები კი ისევ მოქმედებს.

ფეისბუქ რეკლამებიდან მოპოვებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ფეისბუქ გვერდი "მიხეილ ბიძინაური" გიორგი გახარიას პარტიასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ფეისბუქ გვერდებს "ბრძენი კრიტიკოსი" და "რეალობა", ისინი ერთსა და იმავე დღეს (27 მაისი) შექმნილი გვერდებია, რომლებიც კოორდინაციას ავლენდნენ და ხშირად იდენტურ ანტიოპოზიციურ პოსტებს აქვეყნებდნენ, ასევე მათ აქტივობაში არ გვხვდებოდა მმართველი პარტიის საწინააღმდეგო არცერთი პოსტი. აღნიშნული ორი გვერდის აქტივობა კოორდინირებული იყო ანონიმურ ფეისბუქ ანგარიშთან "მიხეილ განუბაჟებელი", რომელიც, თავის მხრივ, დიდი ხანია ოპოზიციისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების დისკრედიტაციაშია ჩართული.




*“მიხეილ ბიძინაურის” დასპონსორებული პოსტების მაგალითები*




*იდენტური პოსტების კოორდინირებული გავრცელების მაგალითები*




*გენდერული დეზინფორმაციის კოორდინირებული გავრცელება*